P-53325

მარტი, № 3, 1902 წელი

მოგზაური

ისტორიული—არქეოლოგიური და გეოგრაფიული-ეთნოგრაფიული სურათებიანი

ჟურნალი, გამოვა ყოველის თვის პირველ რიცხვებში.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

წლით—**ხუთი მანეთი**, ნახევარ წლით—**სამი მანეთი**.

ფული და წერილები უნდა გამოგზავნოს: *Въ Тифлисъ, въ Редакцію „МОГЗАУРИ“.*

თბილისში ხელის მოწერა მიიღება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან, ძმათა იმედაშვილების წიგნის მაღაზია, „ნდობის“ წიგნის მაღაზიაში (ქვაშვეთის გიორგის ქუჩაზე), დავით გაბრუაშვილთან „პურ-ღვინოს“ გვერდზედ და თვითონ რედაქტორთან (მამა დავითის მეიდანზე, სახლი № 20).

ხელის მომწერთა საყურადღებოდ:

„მოგზაურის“ ყოველ ხელის-მომწერს აქვს უფლება დაბეჭდოს ამ ჟურნალში უფასოდ ყოველ-გვარი განცხადება, არა უმეტეს სახევარის გვერდისა.

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

თბილისი
სტამბა უქ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 28.
1902

Ц.Н.Б.
Т.Ц.Н.Б. БИБЛИО

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го Февраля, 1902 года.

ბორჩალოს მაზრა

და იქ მცხოვრები ქართველები.

რატევნიდან დასავლეთისკენ გზა-ტკეცილით რომ გავემგზავროთ, ოთხის ვერსის სიშორეზედ, მივალთ მარჯვნივ მხრივ მდებარე სოფელ აკაურში. აქ სცხოვრებენ 19 კომლი ქართველნი და 2—სომეხი და ოცამდე თათარი. ზეპირი გადმოცემა გვარწმუნებს, რომ ეს სოფელი ალაგითურთ ამ 40 წლის წინედ ეკუთვნოდა ბ. ბარათაშვილს—ქართველ თავადს, რომელსაც ეს ალაგი გაუცვლია სოფელ ყამარლოზე ერთის სომხისთვის. მაგრამ ქართველები აქვე აკაურთას დღემდე დარჩენილან საცხოვრებლად. მშვენიერს შუა ალაგას სდგას ქვის ეკლესია, რომელიც ძველად ნაკურთხი ყოფილა ღვთის-მშობლის სახელზედ. ადგილობრივ მებატონეს იგი მცირედ შეუკეთებია და ჩვეულებისამებრ მიუდგამს სომხური ქვის ტრაპეზი, მაგრამ პატრონის ავათმყოფობისა გამო, დღესაც არ არის დასრულებული და ნაკურთხი. დღესაც ქართველები 15 აგვისტოს დღესასწაულობენ მის დღეობას და იყრიან აქ თავს ლამის სათევად. ქართველი მღვდელი არა ოდეს არ უხდის ამ ეკლესიაში პარაკლისს თავის მრევლს, რადგან ადგილობრივი მებატონე არ აძლევს ამის ნებას. საჭიროა

ვალდებულმა მთავრობამ ამ შემთხვევას, ადრე თუ გვიან, ყურადღება მიაქციოს, მისთვის მაინცა, რომ აქ მყოფ ქართველებში სარწმუნოება არ შეირყეს. ვინემ დროა, ვისაც ასხია ყური სასმენად—ისმინოს.

აკაურთის აქეთ მხრივ ძევს სოფ. ტანძია—კუთვნილება თავადის გ. ი. ორბელიანისა. მასში სცხოვრებს 20 კომლი ქართველი და ერთიც სომეხი—ნალბანდი. ეკლესია მშვენიერი ყვითელის ქვისაა, უგუნბათო, კოხტათ შევსებული შიგნით და გარეთ და სავსე კუთვნილის საეკლესიო ნივთებითურთ; აშენებულია XV საუკუნეში და განახლებულია 1896 წელს; სამხრეთის მხრის კედელზე გარედან შემდეგი ხუცური წარწერა აქვს:

Ჶ-Ѳ Ѩ-Կ-Ъ ՀՊԱԷ ԿԲՀՊԸ Ս-ՋՀ-ՌԵ ԱՀԿՊԸԵՏ.

ე. ი. წმიდაო ნიკოლოზ, მეოხ ექმენ პატრონს ორბელიანს.

აქედან აშკარად სჩანს, რომ ესე ეკლესია ახლად შეკეთებამდე და კურთხევამდე ყოფილა წმ. ნიკოლოზის სახელობაზედ, თუმცა ახლა ღვთის-მშობლის მიძინების სახელზეა ნაკურთხი. დასავლეთის მხარეს არის გაშენებული მშვენიერ გეგმაზე ახალი სასახლე, სავსე სხვა-და-სხვა ნივთებით, რომელშიაც სცხოვრებს მარტო მოურავი მამულისა, ბ. გ. არუთინიანცი საუბედუროდ ეკლესია ტრაპეზის სართულში სწვეთს, რის გამო სამსახური მასში არ არის უსაშიშო. იმედს მოკლებული არ არის ჩვენი აზრი, რომ ეს ამბავი იცოდეს თვით თ. ორბელიანმა, იგი არ გაუშვებდა ღვთის სახლს უყურადღებოთ მით უმეტეს, რომ

იგი ღირსია ყურადღებისა, როგორც ძველი ნაშთი მათის ბრწყინვალე წინაპრებისა...

ამ ეკლესიის გალავნიდან სჩანს, ქციის იქით ნაპირის მახლობლივ, ძველი ფიტარეთის მონასტერი. მნახველები ამტკიცებენ, რომ იგიც შეადგენს ძვირფასს სანახავს მსურველთათვის, აქვს მრავალი ძველი ხუცური წარწერანი, შესანიშნავი გუმბათი და ფრიად ვრცელი. უპატრონოთაა ჯერ-ჯერობით, თუ „იანცები“ არ დაეპატრონენ. ფრიად შესანიშნავი წყაროებია ტანძიაში, გარშემო ტყე, სამხრეთით, ხუთი ვერსის სიშორეზე, ალექსანდრეპოლის გზა-ტკეცილია და დასავლეთით, ერთის ვერსის სიშორეზე, ჩამოურბის ქცია (ხრამი). აქედან სჩანს: ახბულახი (ბელი კლიუჩი), კოჟრის-ციხე, ყარაიაზის მინდორი და, ჩრდილოეთის მხრივ ცივის მთები.

ტანძიაში სდგას მეორე ძველი ეკლესია, რომელზედაც შესავალშივე კიდევ ამცნევია ჟანგით შემოსილი ხუცური ასოები, მაგრამ, ამის მიუხედავათ „ტერ კარაპეტას“ კლიტე დაუდვია ზედ და უწოდებს სომეხთა ეკლესიას.

ტანძიიდან ისევ გზა-ტკეცილზე რო ჩამოვიდეთ, ე. ი. ახალშენიდან 9 ვერსის სიშორეზე, ვნახავთ ერთს უშველებელს მთას. მისი მნახავი უეჭველად იფიქრებს, რომ, ვითომც, სწორე მინდორზე ყასიდათ ამობერილიყოს იგი მთა.. სულ თავზე არის შემორტყმული ქვის ციხე და კარებია ჩასმული ერთ დიდ გამოქვაბულ წითელ ქვაში, ასე რომ, ყოველმა შიგ ციხეში შემსვლელმა უნდა გაიაროს სამი საჟენი გა-

მოქვაბული (გვირაბი), მერე კიდევ მაღლა ასასვლელად არის ოთხ საჟენიანი ქვის კიბე და ეზო ციხისა; ეზოდან არის ამართული კიდევ კიბე და შევალთ ეკლესიის ეზოში; იქ ვნახავთ ჩვენ შესაშინებელ სიმაღლის სიშორეზედ პატარა ოთხ კუთხიან ეკლესიას წმ. ნიკოლოოზის სახელობაზედ აშენებულს 1700 წელში. მეტად ღარიბი და ფრიად პატარაა ეკლესია. ციხის ეზოში არის ქვის კლდეშივე ამოჭრილი ხაროები, თვითო მათგანში ჩაეტევა ორმოცამდე კაცი; პირები ქვევრსავით ვიწრო აქვთ და შიგნით განიერნი. თვით მთის ძირას გაშენებულია სოფ. ქვეში. დასავლეთით ციხის ძირას ჩამოურბის მდ. გ ე ტ ა, ხოლო სამხრეთით გზა-ტკეცილი და აღმოსავლეთით ერთ ვერსზედ—მდ. მ ო შ ა ვ ე რ ი. აქ ცხოვრობს 20 კომლი ქართველი და ორიც სომეხი. ამ ერთი საუკუნის წინ ქვეშში უცხოვრია 500 კომლს ქართველს, მაგრამ ცუდისა და ვერ ასატანის ჰავის გამო დაფანტულან და გაუშენებიათ ჩემდამო წინედ მოხსენებული სოფლები: ტანძია, აკაურთა, რატევანი და ბოლნისი (პატარა). ქვეშელები იქებიან მთელს ამ მხარეს, როგორც გულად-პურადნი და ყოჩაღნი, მაგრამ მეტად შევიწროებული ცხოვრება აქვთ,—პირველ წერილში მოვიხსენიე—რისგანაც სამყოფი მამული არა აქვთ; გარეშემო ახვევიათ თათრები, რომლებიც თავის მხრიდან ფხიზლობენ, რათა მიეპატრონნენ იმას, საცა რამ ცუდათ ძევს—დღე და დამე ერთია მათთვის. ასე გასინჯეთ, გლეხს იმდენი აღარ რჩება წლის ბოლოს, რომ ახალწელს ახალი ქალამანი მაინც მოიკრას. ეს მღვდელიო,

—მეტყვიან ხოლმე,—ეს ფოსტის ფულია, ეს ქუდის ფულია, ეს ჩაფრის ფულია, ეს ჯინჯილისაა, ეს ბატონისაა, ეს გზირისა და მწერლისაა, ეს „ოცენკა-ნალოგია“ და ეს „ნედოიმკაა“.

პატარა ბოლნისის ეკლესია აქამომდე უგალავნოთ იყო; ადგილობრივმა მღვდელმა ითავა და იპოვა ისეთი პირი—ქართველი, რომელიც თავის ფასით აკეთებდა გალავანს და სამრეკლოს აშენებასაც აპირებდა. გაიგეს თუ არა ქართველებმა, რომ ბ. ბასილაშვილი აკეთებს თავის ფასით ყველა ზემოხსენებულს, შეიკრიბნენ თავი პირნი, მივიდნენ მღვდელთან და სთხოვეს, რომ ნება არ მიეცა მას ბ. ბასილაშვილისთვის აეშენებინა გალავანი, ანუ სამრეკლო. მიზეზად ეს მოიტანეს, რომ თუ ბასილაშვილი ააშენებს ზემოხსენებულს, საძირკველში ჩაატანს რაიმე ქვაზე წარწერას და მამულს და ეკლესიას წაგვართმევს შემდეგშიო. ოდეს ამ სიტყვებზედ ძალა-უნებურად დაუწყო ახსნა ერთმა იქ დამსწრე პირთაგანმა, გლეხთაგან წარმოდგა თეთრ წვერა მოხუცი, მოიხადა ქუდი და დაიწყო:

„შენი ჭირიმე, კნიაზო აგრემც მე წამლად დავედები შენს შუშებს, ცხვირზე რო წამოგიცვამ; ჩვენ თავი დაგვანებეთ. რატევანში ფითოევიც ეუბნებოდა ჩვენს მამა-პაპებს: შვილო, გაისარჯეთ შევაკეთოთ ეკლესიაო, მაგრამ ჩვენც გვამუშავა და ახლა კი ხელი აგვალებინა. ამას არ ვჩივით ჩვენ, პატრონიც არ გვიჩნდება, რომ ღვთის სახლს, ადგილობრივ, სისხლით მორწყულის, მამულის ძველს ნაშთს ყურად-

ღება მიაქციოს. იმას ვინ ჩივის, ვენაცვალე შენს კასრს, რომ რატევნელები უეკლესიოთ არიან ეხლაც! აი შენი ჭირიმე, ი ვილაც ბასილაშვილია, აგრე გვიზავს და ამ ხეობაზე ამის მეტი კი აღარ შეგვრჩა,— ვენაცვალე ამის მადლს, ეს ეკლესია დეე ასე იყოს, არ გვინდა გალავანი და არც სამრეკლო; „როცა მღვდელს უნდა, ეკლესიაში თვითონ დაგვიძახებს“.

ასე შეშინებულნი ძლივს დაარწმუნა მღვდელმა, რომ ბ. ბასილაშვილი ქართველია და მამულიც მათ უჭირავთ სახელმწიფო, რომლის წართმევა და დაჩემება არავის არ შეუძლიან. დაარწმუნა, რომ სომხებს ამისთანა შემთხვევაში უჭრით ხერხიანობა, ხელს უწყობს ჩვენი უფხიზლობა, თორემ, დათვმა კარგათ იცის, რომ გეჯაში „კაკაა“, მაგრამ ისიც იცის, შიგ რა ვაჟბატონებიც ბძანდებიან და შიმშილით რომ ყარაბალიც მოაგონდეთ, მაინც ვერ გაჰბედავენ ეშმაკობასაო. დაარწმუნა, რომ მათი ეკლესია, როგორც აშენებული XVII საუკუნეში მეფე როსტომისაგან, ღირსია ყურადღებისა, ღირსია დავიცვათ იგი ჩვენის ჩამომავლობისთვის. რასაკვირველია, მღვდლის დარიგებამ ბევრი დააფიქრა და ბოლოს ხალხმა სთქვეს ერთ-ხმათ: ,,თუ კი ბასილაშვილი ქართველია, მამაო, მაშ იმედი გვაქვს, რომ თქვენი სიტყვა მართალი დარჩეს ჩვენთვის; ასრულდეს ნება ღვთისა და თქვენი“. თუმცა ეკლესიას პატივის ღირსი გალავანი და სამრეკლო შეუმოსეს, მაგრამ ბოლნისელებს მაინც არ სჯეროდათ, რომ ბასილაშვილი ქართველი იყო, რომ მან ააშენა თავის სადღეგრძელოთ და მიცვალე-

ბულთა თვისთა საცხოვნებლად, როგორც სჩანს, აგრეთვე, წარწერიდგან. ახლად აშენებული აკურთხეს 25 დეკემბერს 1901 წელს, დაესწრნენ ამ ხეობის ქართველნი და სომეხნიც. აგრეთვე იმ დღეს დარწმუნდნენ ბასილაშვილის ქართველობას, ოდეს მღვდელმა ჩააბარა არქიელის გამოგზავნილი შესაკრებელთა წიგნი ბასილაშვილს, სამერმისოდ ახალ კანკელის დასადგმელის ფულის შესაკრებად. მათ სიხარულს იმ დღეს არ ჰქონდა საზღვარი; დიდი და პატარა იხარებდა, რომ ეკლესიას შეჰყურებდნენ წითელ ქვით შეჭედილს გალავნის შუა და ზედ იყო ამართული ყვითელი ქვის მაღალი სამრეკლო, სამი დიდრონი ზარებითურთ. ღმერთმა ქმნას,—გაიძახოდა ხალხი, რომ ბ. ბასილაშვილისთანა ქართველი გლეხი არ დაუკარგოს ამ ჩვენს ხეობას, რომ ჩვენგან დავიწყებულნი ნაშთნი, ფრიად ტანჯულის ივერიისა, ჩვენდა სამარცხვინოთ სხვათა ხელში არ ვარდებოდნენ. საზოგადო სუფრას დასტიროდა წყნარად დუდუკი, რის ბოლოს კრებამ არჩია, ადგილობრივ აშუღებს ემღერათ ახირას ,,მარტის თვე''...

ბ.

მთიულთ ცხოვრებიდან

(მგზავრის შენიშვნები *).

II

რუსეთის გამოჩენილი პროფესორი, ხუთი ევროპიულად ჩაცმული მხლებელი და პოლიციის ბოქაული რავდენიმე ჩაფრით.

პროფესორი. მართალია ძლიერ დავიღალე ამ მოგზაურობით, ნამეტნავად როცა ხევსურეთიდგან აწუნთის მთაზედ გადმოვედი, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ პეტერბურგის და პარიჟის სიცოცხლეს აქაურ მშვენიერ და ბუნებით დაჯილდოვებულ ჰაერში სიკვდილი მირჩევნია. მე არ დავიშურებ, ერთი დღიური მამული აქ სადმე რომ მოიპოვებოდეს, მივცე სამასი თუმანი და შევისყიდო, რომ წელიწადში ერთი თვე ზაფხულობით მოვიდე და მოვისვენო ამ მთის წმინდა ჰაერში. განა შეიძლება კაცმა შეადაროს ეს მშვენიერი წმინდა ჰაერი და დაუფასებელი ბუნება იმ ჩამხრჩვალს და აყროლებულს ქალაქების ჰაერს? ივან სტეფანიჩ! არ შეიძლება როგორმე მოვახერხოთ, ამ მწყემსებს ცხვარი დაეკვლევინოთ, ხელ-და-ხელ პური გამოვაცხობინოთ, არაყიც ვაშოვნინოთ და ერთი ამათებურად ვისადილოთ?

(მწყემსები იქვე პროფესორის ახლო დგანან ჯერთმანეთს ეკითხებიან)

პირველი მწყემსი. ეს რა ხალხი არისა, ნეტა ეს ვინ იქნებიან?

---

*) იხ. „მოგზაური“ 1902 წ. № 2.

მეორე მწყემსი. შარშანაც არ იყო რომ დადიოდნენ და ჭიებს ეძებდნენ, ისინი თუ არიანა!

ივან სტეფ. (მიჭმართავს **მწყემსებს**) ძმობილო, არ შეიძლება, თქვენი მწყემსური სადილი, როგორიც კი იცით, მოგვიმზადოთ. ფასი კი, როგორც ხარჯისა, ისე შრომისა, ერთი-ორად მიიღეთ.

მწყემსი. კნიაზო, თქვენი საკადრისი სადილის მომზადება ჩვენ საიდგან შეგვეძლების?

ივან სტეფ. ჩვენ აქ კნიაზობას და ფაქიზობას კი არ ვეძებთ, ჩვენ გვინდა ვისადილოთ თქვენებურად. აბა ერთი მოგვიმზადეთ რამე.

ბერგელი მწ. ბიჭო, ე მაგათ არაფერი სიტყვა არ დაგვტყუონ და ხარჯი არ მოგვემატოს მთიელებს?

მეორე მწ. ხარჯს მოგვიმატებს თუ ბოჯს, ჩვენი მოვალეობაა, სტუმარს დავხვდეთ და ღირსეულად პატივი ვცეთ.

დასხდებიან. მწყემსები შემოიტანენ ცხვარს, ნახევარს მოხარშულს და ნახევარს უაურმად გაკეთებულს მოხარშულს დუმას; ერთი გაიქცევა სოფელში და მოიტანს ხელადით შინაურს არაყს, უანწს. ბალახზედ ნაბადს გაშლის, სუფრის მაგივრად გადაფარებს ცხვრის ტყავს, ზედ დაწყობს ყველაფერს და მოიტანს უანწით არაყს. ბრეფესორი ნაბადს და ტყავს იქით გადაგდებს და ყველანი, რადგანაც ფეხის მოკეტით ვერა სხდებიან, ბალახზედ წამოწვებიან ბოქაულთან ერთად და მწყემსებსაც მოიწვევენ სუფრაზედ.

ბრეფეს. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემთვის ეს ბევრად სასიამოვნოა, ვიდრე ძვირფასი ევროპიული საკმელები.

ივან სტეფ. ყველაზედ უფრო შესანიშნავი ის არის, რომ ესეთი მადა მე არასოდეს არა მქონია, როგორც ამ მოგზაურობის დროს.

ბოქაული. ნეტავი თქვენ ერთი იანვარში გაგატარათ აქ, ამ ალაგებში, რომ ღირსეულად დაგეფასებინათ აქაური გემოვნება და მადაზედ მოყვანა ბუნებით. უნდა მოგა-

ხსენოთ, რომ ამ ალაგებში იშვიათი შემთხვევაა ხუთ არშინზედ ნაკლები თოვლი დასდოს ზამთრობით.

პროფეს. ივან სტეფანიჩ! მაგდენი თოვლი თუ მოდის, როდის-ღა დნება და ან ზაფხული როდის-ღა მოდის?

ბოქაული. აქ ზაფხული არის მარტო ორ თვე-ნახევარი, ან ბევრი, ბევრი სამი თვე, ესე იგი პირველ თიბათვიდგან დაწყებული მარიამობის 15-მდე ანუ ბევრი გასწიოს ენკენისთვის პირველამდე. (**სადილი გათავდება და ადგებიან. პროფესორი და ივან სტეფანიჩი ფულს შეაძლევენ მწყემსებს. მწყემსები ერთმანერთს შეხედავენ და გაიცინებენ**).

მწყემსი. (ივან სტეფანიჩს) მაგ გარეშე ქვეყნის კაცს შეიძლება ეპატიოს, მაგრამ თქვენ კი, როგორც გეტყობათ, უნდა საქართველოში იყვნეთ აღზრდილი. განა არ იცით, რომ პურ-მარილის გაყიდვის მაგალითი არ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში? ნუ თუ ღვთის გამოგზავნილს სტუმარს სადილის ფული უნდა გამოვართვათ? ეგ ღმერთმა დაიფაროს, რომ ეგრე დაეცეს ჩვენი ხალხი, რომ ეგეთი ჩვეულება შემოიღონ.

პროფეს. (**მოეწონება ამათი ქცევა**) ღმერთმა ჰქმნას ყველა ხალხი თქვენსავით იყვეს ზნეობით აღზრდილი. ივან სტეფანიჩ, აბა გავემგზავროთ, თორემ შენაქოში ვერ გადავალთ, დაგვიღამდება.

ივან სტეფ. წავიდეთ...

(**სოფელში რომ მიდგენ პროფესორი ეტუვის ბოქაულს**):

ბატონო ბოქაულო, გთხოვთ მოიწოდოთ ექვსიოდ ხანში შესული მოხუცი თუში, რომელთაც უნდა გამოვკითხო დაწვრილებით მთიულთა რჯულ-სამართალზედ ცნობები წარსული დროებისა.

ბოქაული. ჩაფრებო, ეხლავ მოიყვანეთ მამასახლისი. (**შემოდის მამასახლისი**). მამასახლისო, შენ წადი და ეხლავე მომიყვანე მოხუცებული, პატიოსანი და შეგნებული თუშები.

მაძასახლისი. გვიბრძანეთ, რისთვის გნებავთ, რომ იმის შესაფერი კაცები გაახლოთ!

ბოქაული. საქმე იმაშია, რომ ამ პროფესორს უნდა ასწეროს მთიულთა რჯულ-სამართლიანობა.

მაძასახლ. ეხლავ გიახლებით და ვეცდები გაახლოთ საჭირო კაცები, მაგრამ ძრიელ კი გააჭირვებენ მოსვლას, ძალიან შეშინებულია ხალხი მაგისთანა უცხო ჩინოვნიკებისაგან. იფიქრებენ, ხარჯის მოსამატებლად იქნებიან მოსულნიო. (მაძასახლისი წავა და მოიყვანს ექვს მოხუცებულს დარბაისელს თუშს).

თუშები. (ბოქაულს) კნიაზი ადღეგრძელოს ღმერთმა! რას გვიბრძანებ, ბატონო პრისტავო?

ბოქაული. მე იმისათვის დაგიბარეთ აქ, რომ ეს კაცი არის მთელს რუსეთში სამაგალითო და საზღვარ გარეთ განათლებული. ამას ჰსურს გამოიკვლიოს მთის ხალხთა შორის რჯულ-სამართალი. გავალებთ, რომ ყველაფერი დაწვრილებით აუხსნათ. ეგ ფრიად საპატიო და ხალხისათვის მზრუნველი კაცია.

(**თუშები ერთი-მეორეს შეხედავენ**).

პროფესორი. (**დაჯდება, გარშემო შემოიხედამს თუშებს და ეტუვის**): გთხოვთ, პატიოსანნო თუშნო, ყოველ ჩემს კითხვაზედ ნამდვილი პასუხი მომცეთ. თქვენს მამა-პაპის დროს, მანამდის საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა, თამასუქს აძლევდნენ, თუ ისე სიტყვიერად ენდობოდნენ ფულის სესხვაზედ და აგრეთვე ურთიერთ შორის რაიმე პირობებს შეჰკრავდნენ ხოლმე?

თუშები. ჩვენში ქაღალდზედ პირობების დაწერა არ ყოფილა; ყოველი ჩვენი თამასუქი და პირობა იყო პატიოსანი სიტყვა, რომელიც თავის დღეში მაგალითი არ ყოფილა, რომ შერყეულიყო ამ ბოლო დრომდე.

პროფ. რომ ვადით რამე დაგეგირავებინათ, მიწა ან ნივთი, ქაღალდს აძლევდნენ თუ არა?

თუშები. არც მაგის მაგალითი ყოფილა ჩვენში; როცა რასმე დააგირავებდნენ, გამოიძრობდნენ ერთ ბალან ულვაშს და მისცემდნენ მოვალეს, თუნდა ათას თუმნად ღირებული გირაო ყოფილიყო, ეს სრულებით საკმაო იყო დასარწმუნებლად მოვალისა.

პროფ. რა სასჯელი იყო ქურდობაზედ?

თუშები. ქურდობა ჩვენში მართალია ძალიან იშვიათი იყო, მაგრამ თუ როგორმე მოხდებოდა, მაშინ თემის კრება სჯიდა ქურდობის ჩამდენს და ამ თემთა გარდაწყვეტილებას ისეთი ძალა ჰქონდა, რომ ხალხისთვის ეს დასჯა მაგალითად რჩებოდა. ამის გამო ხუთი-ექვსი წელიწადი გაივლიდა, რომ მთელს თუშეთში ერთი ქურდობა არ მომხდარიყო.

პროფ. უწინდელს რჯულ-სამართალს უფრო მეტი გავლენა ჰქონდა ქურდ-ავაზაკობის მოსასპობლად, თუ ეხლანდელს შემოღებულს კანონს?

თუშები. (ერომანერთს შეხედავენ და გაიცინებენ) ეხლანდელმა კანონებმა, კნიაზო, ლამის მთელი ახალგაზდობა ქურდ-ავაზაკებად აქციოს.

პროფ. ნუ თუ ასეთი ცუდი გავლენა იქონია ხალხის ზნე-ჩვეულებაზედ ახლად-შემოღებულმა კანონებმა.

თუშები. იქონია კი არა, ასე მოგახსენებენ, რომ ხევსურეთში, სადაც სახელი არც კი იცოდნენ ქურდობისა, დღეს ისეთი ხევსური არ ჩავა ბარში, რომ რაიმე ქურდობა არ ჩაიდინოს და იქიდგან ხელ-ცარიელი წამოვიდეს.

პროფ. სხვაფრივ ზნე-ჩვეულება ხომ არ შერყეულა თქვენში?

თუშები. ჩვენში ურთიერთ შორის, ვინც ჩვენსავე მიწა-წყალში ვცხოვრობთ ჩვენის ოფლით და სისხლით, ჯერ აგრე რიგად არა ეტყობა-რა, მაგრამ თითო-ორ-ორნი, რომელთაც საქმე ეზარებათ, დადიან ქალაქებში, აქვთ ნაცნობობა ადვოკატებთან, იმათ ლამის რომ გადაგვკიდონ ერთმანეთს და ბოლო მოუღონ ჩვენს მტკიცე და

ყოვლად შემკობილს ხალხთ სასარგებლო ზნე-ჩვეულებას.

პროფ. Да, жаль этотъ нравственный народъ! ახალმა შემოღებულმა სწავლა-განათლებამ როგორი-ღა გავლენა იქონია თქვენს ხალხზედ?

თუშები. ჩვენში, ვინც საკმაოდ მიიღო სწავლა-განათლება, იმათ არა უშავთ-რა. ისენი ისევ შინა ბრუნდებიან, სამსახურში არ მიდიან და არც აღებ-მიცემობას მისდევენ, უმეტესი ნაწილი ისევ ცხვარს ჰყვებიან და სოფლურ ცხოვრებას. მხოლოდ, როცა ბარში ჩავდივართ—კახეთში და ქიზიყში—ჩვენს ნათესავებთან და კარგ ნაცნობებთან, იმათგან გვესმის მრავალი უსიამოვნო ამბები ამ ახლად ნასწავლთა შესახებ. გვეუბნებიან, რომ, ვინც კი სწავლა-განათლება მიიღო, იმათი ბოლო სულ ფუჭად მიდის. შრომასა და სოფლურ ცხოვრებას გადაჩვეულნი არიან, თავიანთ მშობლებს და ნათესავებს ზიზღით და უკადრისად უყურებენ, რადგან სამსახურში შედიან, ჩინებს იკეთებენ და მით ავიწყდებათ თავიანთი ზნე-ჩვეულება, მშობელ-ნათესაობა და მიწა-წყალი. მაგრამ თურმე თავიანთ საბოლოოსაც ვერ აკმაყოფილებენ. სანამდის ჯანი და ღონე აქვთ და შეუძლიანთ სამსახური თავს ირჩენენ და შემდეგ რჩებიან შეუბრალებლად.

პროფ. Эта чиновничья жизнь для меня не новость! რა იყო სასჯელი იარაღით დაჭრაზედ?

თუშები. თემის კაცების გარდაწყვეტილებით ჭრილობას გაზომამდნენ ქერის მარცვლების დაწყობით იარაზედ და რამდენი მარცვალიც დაეტეოდა, დამჭრელს იმდენი ძროხა უნდა მიეცა—თუ ჭრილობა იყო ტანისამოსით დაუფარავ ალაგზედ, ე. ი. პირისახეზედ, ხელებზედ, კისერზედ და თავზედ; მხოლოდ, თუ ჭრილობა იყო ტანისამოსით დაფარულ ალაგზედ, უნდა მიეცათ ნახი-

ვარი იმ საქონლისა, რაც მარცვლების დაწყობით დაეკუთვნებოდა დამჭრელს.

პროფ. კაცის კვლაზედ რაღა იყო სასჯელი?

თუშები. კაცის მოკვლაზედ თემის გარდაწყვეტილებით იყო სამოცი ძროხა.

პროფ. რა იყო სასჯელი გაცარცვაზედ და ყაჩაღურად დაცემაზედ?

თუშები გაცარცვა და ყაჩაღურად დაცემა ჩვენში იშვიათი იყო და თუ იქნებოდა, იმისთვის კი არა, რომ რამე სარგებლობა შეეძინათ, არამედ პირდაპირ ვაჟკაცურად დახვდებოდნენ მტერს, ხელ-და-ხელ აჰყრიდნენ თოფიარაღს, რომელიც ნიშნავდა მტრის შეპყრობას და დამარცხებას.

პროფ. რა იყო სასჯელი სახლ-კარის და ჭირნახულის დაწვაზედ?

თუშები. ეგეც იშვიათი იყო ჩვენში. მაგისთანა ტურა-მელურად მიპარვა და ქურდულად ერთმანეთის დაზარალება დიდად სასირცხვოდ მიგვაჩნდა. მხოლოდ მაგ გვარი დაცემა და დაზარალება იყო ჩვენ და ლეკებს შორის. მაშინაც ვაჟკაცურად შეიარაღებული მთელი სოფელი დავლურად დავეცემოდით და წავახდენდით რომელიმე ლეკის მთელს სოფელს და ფარობით საქონელს გამოვრეკავდით.

პროფ. რა იყო სასჯელი ქალის მოტაცებაზედ?

თუშები. ქალის მოტაცებაზედ სასჯელი იყო თემისგნით.

პროფ. ერთი ამიხსენით, როგორ თემი, მთელი თემი სჯიდა ხალხს?

თუშები. დიაღ, სწორედ ეგრე იყო. ჩვენში იმისთვის იყო ხალხი შემაგრებულ-გამგონი უნცროს-უფროსისა, მომსპობი ყოველი ბოროტი მოქმედებისა, რომ ყოველ დამნაშავეს და წინააღმდეგს თვით ხალხი სდევნიდა და სჯიდა. უწინდელ დროში როგორ შეიძლებოდა ჩვენში

ვისმე უმცროსს გაებედნა შეუპოვრობა უმფროსისა, რომ ჩვენში ურთიერთობა არ ყოფილიყო, ჩვენ როგორ შეგვეძლო შეგვემაგრებინა მთელი დაღესტანი, რომელიც ათასჯერ ანიავებდა ხოლმე ქართლ-კახეთს.

პროფ. როგორ? განა ეხლა კი შერყეულია ეგ ზნე-ჩვეულება თქვენში?

თუშები. ჩვენ, ვინც მთაში ვცხოვრობთ და ცხვარს მივდევთ, ჩვენში კიდეკ დარჩომილია მამა-პაპური წეს-წყობილება, მხოლოდ გვირევიან თითო-ოროლნი, რომლებიც დადიან ქალაქებში და სუდებში და იკვეხიან, ჩვენ განათლებულ ხალხთანა გვაქვს მსვლელობაო. ლამის აგვრიონ და ერთმანეთს შეგვატაკონ, ბოლო მოუღონ ჩვენს ურთიერთობას და ჭეშმარიტ რწმუნებას.

პროფ. რა იყო თქვენი სასჯელი ცრუ ფიცის მიღებაზედ?

თუშები. (გაკვირვებით) როგორ თუ ცრუ ფიცის მიღებაზედ? ეგ სიტყვა ჩვენ არ გვესმის.

პროფ. ცრუ ფიცი როგორ არ იცით? ცრუ ფიცი ის არის, როცა ან ქურდობაზედ, ან კაცის კვლაზედ რომელიმე მხარის სასარგებლოდ სუდში ტყუილს იტყვიან და ფიცით დაამტკიცებენ ტყუილად ნათქვამს სიტყვებს.

თუშები. (ერთმანეთს შეხედავენ) ბიჭო, ეს რა გვესმის. ეგ, ბატონო, ჩვენში არცა ყოფილა და ღმერთმა დაიფაროს, რომ მოხდეს; ჩვენ მართალზედაც არ ვიღებთ ფიცსა და ტყუილზედ რა საფიქრებელია?! განა არის სადმე მაგისთანა ქვეყანა, რომ ტყუილად დაიფიცონ, მტყუანი გაამართლონ და მართალი გაამტყუნონ ფიცით?

პროფ. (ხასუხს არ მისცემს). რა იყო თქვენში სასჯელი, რომ ნათესავი ნათესავზედ შემცდარიყო, მაგალითად ძმა დაზედ?

თუშები (გაშტერებულნი უყურებენ ერთმანეთს, უცებ ფეხზედ წამოდგებიან, გადაეფურთხებენ და მიმართავენ ბოქაულს): უფალო პრისტავო, ჩვენ ისე გიყურებდით თქვენ, როგორც

ნამდვილი მამა შვილს და ყველაფერში გენდობოდით, როგორც პატიოსან და სარწმუნო კაცსა, მაგრამ დღეიდგან ყოველივე ნდობას ვკარგავთ თქვენდამი... (**გადიან**).

იგან სტეფ. Развѣ я не говорилъ вамъ не возбуждать еще чуждыхъ ихъ нравственному чувству безнравственныхъ вопросовъ.

ბრიფ. უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, რომ ეს ხალხი ყოფილა სამაგალითო, ნამდვილი ანგელოზნი, სავსენი პატიოსნებით, ზნეობით სპეტაკნი და დაუფასებელნი, როგორც ვაჟკაცობით, აგრეთვე ზნეობით. ამიტომ გაუმარჯოს ვაჟკაცს თუშებს და ღმერთმა ჰქმნას, რომ იმათი აგეთი ზნე-ჩვეულებანი დარჩნენ შეურყეველნი საუკუნოთ და მათნი ფარ-ხმალნი იყვნენ დაუღალავნი და სახელოვანნი.

ელიზბარ გუგუშვილი.

(შემდეგი იქნება).

არიან თუ არა ქართველ კათოლიკენი?

ჩვენ სარწმუნოების სიმბოლო მრწამსში აღვიარებთ: „ერთს წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკკლესიასა“. ქრისტეს ეკკლესია ერთი ყოფილა და არა ორი; ისიც წმიდა კათოლიკე და სამოციქულო; ასრე უწამიათ ჩვენს წინაპართ სწავლულთ სასულიეროთა თუ საერო მორწმუნეთა, თანახმად წმიდა ათანასის აღიარებისა, წ˜ა კიპრიანესი, წ˜ა იოანე ოქროპირისა, წ˜ა აგვისტინისა, წ˜ა იერონიმისა და სხვათა. მით დარჩენილა ჩვენს საყოველდღეო ლოცვაში სახლ-სადგომში სათქმელად: ,,პირველად მოიხსენე, უფალო, შენი წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკკლესია, რომელი პატიოსნითა სისხლითა შენითა მოიყიდენ, დაამტკიცენ, განაძლიერენ, აღამაღლენ, განამრავლენ, მშვიდობით დამყარებულ ჰყავ'' (უოთ გვერდი, 1764. ქ. მოსკოვს დაბეჭდილ ფსალმუნთა). ასრევე: ,,გიხაროდენ, ჯი კათოლიკე ეკკლესიაო, რამეთუ პირველ უკვე შენდა მომართ იყო დაწყება სიტყვისა, ვინათგან პირმშოება შენ შორის საცნაურ იქმნების მორწმუნეთა ერისაგან... გიხაროდენ, ჯი ეკკლესიაო ღვთისაო, რომლისა დამფუძნებელმან ყოველმან ღმერთმან საფუძვლად შეუძვრელად სიმტკიცისად წმიდანი მოციქულნი დაგიხსნა ქვეშე, სიტყვისაებრ საუფლოსა, ვითარცა ჰრქვა თავსა მას მოციქულთასა პეტრეს, ვითარმედ: შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკკლესია ჩემი, რომელსა

ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ'' (,,სამოთხე'', გვ. 113).

თქმა არის, როცა მთელი მოციქულნი წმიდა პეტრეს ერთი ეკკლესიის ქვევრდომნი გამხდარან, არა ვითარი მნიშვნელობა აღარა აქვთ იმათ ცალკ-ცალკე თვითოეულად. სხვებრ ახსნა-გარკვევას ადგილი აღარა აქვთ. ქრისტეს ერთს ეკკლესიას ერთი მწყემსთ-მთავარი სჭირია და არა მრავალი. ამას სხვა არავითარი განმარტება აღარ სჭირვია, მაგრამ ვის ესმის, ვის გააგონებთ, ყველა თავისას იძახის: მე ვარო! მისთვისაც დამცირვებულვართ!..

რომ გარდავავლოთ თვალი ბერძნის ეკკლესიის და რომის ეკკლესიის შუა ყოფილ უთანხმოებასა, ისე სარწმუნოების შესახები საიმისო დიდი, შესანიშნი, დამაბრკოლებელი საგანი არა არის-რა, როგორც პოლიტიკური ჟინიანობისგან წარმომდგარი ამაყური შენ-ჩემობის საქმე. ქართველების საესულიერობა არ ყოფილა თანახმა მის დროს არც ფოტ პატრიარხის მრუდი აზრებისა და არცა-რა კერულარიო მიხაელ პატრიარხის გამდრეკელობისა. წინააღმდეგ მტკიცედ მდგარან ერთს წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკკლესიის ერთგულობაზედა. მიხაელ კერულარიო პატრიარხის ამრეველობამ საქართველომდინაც მოაწია. ჩვენი მამა გიორგი მთაწმინდელი ანტიოქიას იყო, იქაც უწყეს დევნულობა ჩვენს ქართველ ბერებს, რომელთაც სამოცამდის თავი შეეფარათ სიონის მონასტერში ბერძნებთან ერთად. ეს სიმონწმიდელნი გარეთ ჰყრიდნენ ჩვენს ბერებსა, რომ მართლ-მადიდებელნი არ არიანო. თეოდო ანტიოქიის პატრიარხმან ჰკითხა ამ საგანზედა ჩვენს გიორგი მთაწმინდელსა და მან სარწმუნოების სიმვოლოს წართქმითა იმართლა თავი. მერმე მოწინააღმდეგეთ აუხირავეს აცნობეს პატრიარხს, ეგ ქართველები არ ემორჩილებიან 4 საპატრიარხოს; არც ერთი ქრისტეს მოციქულთაგანის მოქცეულნი არ არიანო, და თავიანთ-თავად ისმენ კათალიკოზებსაო. აი რა უთხრა პატრიარხმან მამა

გიორგის: ჯერ არს რომელ ეკკლესიანი და მღვდელთ მოძღვარნი თქვენნი სამოციქულოსა ამის საყდრისაგან იმწყსებოდნენ... ესე შენგან შესაძლებელ არს, რამეთუ ვუწყი ვითარმედ გისმენს მეფე თქვენი, უკეთუ მიუწერო და აუწყო უმჯობესი, ხოლო უკეთუ არა ისმინოს, მიუწერო ოთხ პატრიარხთა საყდრის მოდგამთა ჩვენთა და ვაუწყო თვით სჯულობა და ქედფიცხელობა თქვენისა ნათესავისა, ვითარმედ თვინიერ სამოციქულოსა კანონისა თვით იმწყსებიან და მოციქულთაგანი არავინ მისულ არს ქვეყანასა მისსა, და ესრედ მრავალ ღვაწლსა შეგამთხვნე, ვიდრე არა მეფე თქვენი თვით წინაშე ჩვენსა მოვიდეს და ხელმწიფებასა ჩვენსა დაემორჩილეს. ხოლო ნეტარმან ამან დაწყნარებით და ნელიად ჰრქვა პატრიარხსა, ვითარმედ: ,,ჯი წმიდაო მეუფეო... ვინ არიან უგუნურნი გამზრახნი შენნი... აჰა ესე რა მე უნარჩევესი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა, მე მოგცე მათ ყოველთა წილ პასუხი. მოღებად ეც წიგნი მიმოსვლა ანდრია მოციქულისა და მუნით გეუწყოს საძიებელი თქვენიო''. ხოლო პატრიარხმან უბრძანა თეოფილეს მოღება წიგნისა მის და პირველ წაკითხვისა ჰრქვა: ,,წმიდაო მეუფეო, შენ იტყვი ვითარმედ თავსა მის მოციქულთასა პეტრეს საყდარსა ვზიო; ხოლო ჩვენ პირველ წოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი მის-მიერ მოქცეულნი და განათლებულნი და ერთი წ~ა ათორმეტთა მოციქულთაგანი, სიმეონს ვიტყვი კანანელსა, ქვეყანასა ჩვენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ. ვინათგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს არღარ უარ გვიყოფიეს და არცა ოდეს წვალებასა მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი, და ყოველთა უარის მყოფელთა და მწვალებელთა შევაჩვენებთ და ვსწყევთ'' (,,სამოთხე'', 460 გვერდი).

ამ დროს ბერძნებისაგან ატეხილი არეულობის გამო საქართველოში ბაგრატ მეფემ მიიწვია მამა გიორგი მთაწმინ-

დელი, წავიდა რა საქართველოᲨᲘ მამა გიორგი, ნახა, რომ შეეცდინათ ბერძნებსა: „ხოლო მიერითგან იწყეს აღსარებად და სინანულად თვით მეფემან, კათალიკოზმან, მღვდელთა და დიაკონთა, მონაზონთა, მოწესეთა, დიდებულთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა, ესრედ მხურვალითა სარწმუნოებითა მოისწრაფდეს და ესრედ განანათლა აღმოსავლეთი“ (სამოთხე, 466 გვ.). ხუთი წლის განმავლობაᲨᲘ მოიარა მთელი საქართველო, სისრულეᲨᲘ მოიყვანა ყოველი თავის გულᲨᲘ ნადებნი, გასწურთნა, გაასწავლა, ჩააყენა ყოველნი წესიერად რიგ-კანონᲨᲘ, იახლა თავისთან 80 მოწაფე ყრმანი წასაყვანად მთა-წმინდის სასწავლებელᲨᲘ და ეგრეთ გამგზავრდა 1065 წელსა, ჩავიდა კონსტანტინეპოლსა და წარსდგა სამეფო სასახლეᲨᲘ, თავის საქმისთვის, სადაც დახვდნენ მეფესთან დიდებულნი, ჰქონდათ საუბარი სარწმუნოებაზედა და ვერაფერი ვერ გაეკვლიათ საკითხ წინადადებებზედ საპასუხო. რა ნახა კონსტანტინე დუკიწმან მამა გიორგი მთა-წმინდელი, გაეხარდა, და მიიღო წესიერად, ჰკითხა მერმე ზრდილობიანად: „სჯულისათვის მართლ-მადიდებელისა, ანუ თუ არს რამ განყოფილება სარწმუნოებისა თქვენისა სრულსა მას და უცთომელსა სარწმუნოებასა ბერძენთასა თანა?“ ხოლო ნეტარმან ჰრქვა მეფესა: ესე არს სარწმუნოება მართალი ნათესავისა ჩვენისა ‘და რაჟამს ერთგზის გვიცნობიეს, არღარ მივდრეკილვართ მარცხულ გინა მარჯულ და არცა მივდრკებით თუ ღმერთსა უნდეს‘‘... პატიოსანო მამაო, მე კაცი ვარ სამხედროთა საქმეთა შინა აღზრდილი და ვერ წვრილად მეცნიერ ვარ ყოველსა... ბერძენთა და რომთასა... მაუწყე ვითარ არს ესე, რომელ ჩვენ და თქვენ მფუვანითა ვწირავთ და ზედაშეს წყალს ვურევთ, ხოლო რომნი ხმიადითა და უწყლოდ *) სწირვენ,

*) უწყლოდ სომხები სწირვენ და არა ლაოინები. ალექსანდრე პაპმან განაწესა წყლის შერევა ზედაშეს შინა წირვისთვის. ვინმემ.

ფრიად უცხო მიჩნს ესე და წინააღმდეგ, ანუ რა არს ძალი პურის ცომისა და მარილისა, ანუ წყალი რომელ ვურევთ ზედაშესა?'' ხოლო ნეტარმან მიუგო ვითარმედ: ,,ჰი მეფეო, ვინათგან ბერძენთა შორის მრავალი წვალება შემოვიდა პირველ და მრავალ-გზის მიდრკენ; ამისთვისცა მსგავსად თქვენსა ღვთის მსახურთა მეფეთა წმიდანი კრებანი შეჰკრიბეს და წვლილად გამოიძიეს განგებულებისათვის ქრისტეს ღვთისა ჩვენისა და ხორციელად გამოჩინებისათვის მისისა და საუფლოთა მათთვის ხორცთა გამოძიება იქმნა და დააწესეს, რათა მივიღებდეთ ცომსა სახედ ხორცთა ქრისტესთა, ხოლო პურის ცომსა სახედ სულისა გონიერისა, წინააღმდგომ წვალებისა უსჯულოსა აპულონარისა, რომელი იგი ხორცთა მათ ქრისტესთა საუფლოთა• უსულოთ და უგუნებოთ იტყოდა უგუნური იგი და უსულო. ხოლო ღვინოსა თანა წყალსა ვურევთ სახედ სისხლისა და წყლისა, რომელი გარდამოხდა გვერდსა მხსნელისასა, ვითარცა იტყვის იოვანე ოქროპირი, ესე არს განმარტება და მიზეზი ამათ საქმეთა! ხოლო რომთა ვინათგან ერთ-გზის იცნეს ღმერთი, არა ოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალება შემოსრულ არს მათგან, და ვითარცა იგი მაშინ თავმან მოციქულმან პეტრე შესწირა უსისხლო იგი მსხვერპლი და უმეტეს ვითარცა თვით თავადმან უფალმან მისცა მოწაფეთა ღამესა მას სერობისასა, ეგრედ აღასრულებენ იგინი და არა არს მას შინა განყოფილება... ეს იყო 1065 წელსა. მაშინ მეფე აღივსო სიხარულითა და მადლი შესწირა ღმერთსა'' (სამოთხე, 474—475 გვ.). ამისთვის სწერს წ'ა დიდი ვასილი: ,,მეცნიერნი წ'ა წერილისანი ვერ მოითმენენ ვერც ერთი წერტილის გამოკლებას ღვთიური მოძღვარებისაგან, ყოველ ნაირ მოკვდინებას ნებიერად თავს იდებენ, თუ საჭიროება მოიხოვდეს მისი მრთლიობის დასაცველადო'' (თეოდორეტისადმი დ. 19).

ბევრს ხანს არ გაუვლია, რომ ბერძნებმან თავიანთ მოუსვენარის მეშფოთრობით აალაპარაკეს ევროპიელნი იქამდის,

რომ, 1102 წ. ძალდატანებული გახდა ქართლის იე კათალიკოზი საფარელი ელონისძია მისთვის რამ, რომ პირი დაეყო მათთვის, რომელნიც აფხაზებს, როგორც ბერძნების სასულიერო-თაგან დიდის ხნის მოლმა ხელდებულთ, რომის-კათოლიკე ეკკლესიის მორჩილად და მონა-მოყვისად არ თვლიდნენ. ეს და მისთანა საქმეების გამოკვლევის და ცნობების შეკრების საქმე მიანდო იმ დროს იქ ყოფილს ეფრემ მცირე მღვდელ მონაზონსა; მანც რიგიანად მოუყარა თავი წერილებითგან ყოველ ცნობებს და მიართვა კათალიკოსს რუისის კრების დროსა ამ მოხსენებითა: „ესე მცირედნი სიტყვანი, ვითარცა თესლის მკრებელმან მიმოგანთესულნი წმიდათა წერილთაგან ერთად შემოვკრიბენ ჯერ ჩინებითა შენითა, კაცო ღვთისაო, რომელმან ეგე უწყი, ვითარ მრავალნი მრავალ-გზის ამათ პირთათვის გვკითხვიდეს და დაბრკოლდებოდეს ჩვენთვის უმეცრებით, ვითარცა თვით განდგომილთა საყდრისაგან დიდისა პეტრე მოციქულთა თავისა; რომელნი კვალად გულსავსე ჰყვნა და აღაშენნა ესე ვითართა თხრობათა პოვნითა (ქორონიკ. 53 გვ. თ. ჟორდანიასი).

მართლად, 1103 რუისის შემდგარს კრების ძეგლ-წერის წინა სიტყვაშივე გამოთქვეს შეკრებილ მამათა თავიანთ წინასულ-გულის მართალი დადგენილება ასრე ამ რიგად: „ამისთვის შემოკრბა კრება ღვთის-მოყვარეთა ეპისკოპოსთა, პატიოსანთა მღვდელთა და ღირსთა დიაკვანთა, ქრისტეს მოყვარეთა მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოელთა სანახებთა ქართლისათა, მახლობლად ორთა საეპისკოპოზოთა რუისისა და ურბნისისა; გარნა არა თუ უბიწოებისა ქართველთა სარწმუნოებისასა ბიწი რამე შეჰხებოდა, ნუ იმყოფინ ესე. არა გეცრუვნეთ შენ სიწმიდით მშობელო ჩვენო კათოლიკე ეკკლესიაო, არცა განგცეთ შენ სიქადულო ჩვენო მართლ-მადიდებლობაო, რომლისა არცა გამცემელ ვქმნილვართ, ვინათგან შემეცნებასა შენსა ღირს ვქმნილვართ, მოწაფე არს ჭეშმარიტებაო“. მით დავით მეფე აღმაშენებელი

თავის დაწერილს სინანულის გალობაში ეეედრება ასრე ღმერთსა: ,,ღმერთო მაცხოვარო ჩვენო, ყოვლისა დამბადებელო, რომელმან სიტყვით დაამყარენ ცანი მაღალნი, ყოვლით ძალით მათით და სულითა მით საღმრთოთა, დამამტკიცენ ჩვენ ერთობით კლდესა ზედა სარწმუნოებისასაო" (სამოთხე, 523—514 გვ.).

ქართველ კათოლიკობა მხოლოდ თამარ დედოფლის დროს შეირყა. მიზეზი მისი იყო პირველის ქმრის ანდრიას შვილის დატოება და მის სიცოცხლისავე ოსეთის მეფის შვილის სოსლან დავითის ქმრად შერთვა, რომელიც თავის მამიდას რუსუდანს ეშვილა, სადაც თამარიც იზრდებოდა. ასეთს ქორწინებას უშლიდა მიქელ კათალიკოზი. ამბობდა: ,,ცოლქმრობის კავშირის დარღვევა სიცოცხლისავე არ შეიძლება, და სხვაზედ დაქორწინებაო''. მოჰქონდა საბუთად სახარების მუხლნი და პავლე მოციქულის მოწმობა, რომელსაცა სწერს: ,,ხოლო ქორწინებულთა მათ ვამცნებ არა მე, არამედ უფალი: ცოლისა ქმრისაგან არა განშორებად, ხოლო უკეთუ განეშოროს, ეგენ უქორწინებლად, გინა ქმარსავე დაეგენ; და ქმარი ცოლსა ნუ დაუტევებნ'' (ა. კორინთ. ზ. 10). ამაზედ ნებას აძლევდა ბერძნების კანონის მიხედვითა (რომელიც შეიტანეს საკეისრო სასახლეში კანონად ხატ-მბრძოლ ევტიქიან პატრიარხებმან მის დროს: თუ მრუშობა შეემჩნია მეფეს ცოლისთვის ან ცოლს მეფისთვის, ნება იყო დართული ბრალიერის დატოება და სხვის შერთვა). ბერძნების მომხრე ჭყონდიდლობისგან გადაყენებული ანტონი გნოლის ძე ნებას აძლევდა. მით რა მოკვდა მიქაელ კათალიკოსი, როგორც „ქ. ცხოვრება" გვეუბნება, გაეხარდათ, რომ ყველას სძულდაო, მის წილ ,ჭყონდიდლობა ისევ ანტონ გნოლის ძეს მისცესო, რომელმანც კლარჯეთს და ღვიმეს და ყოველგან წესიერება მოახდინაო. რა ეჭვია, ესრეთი განკარგულება ბერძნების მიმხრობას აჩვენებს მესხების და იმერლების აჯანყების შემდეგ,

რომელთაც ისევ გიორგის ანდრიას ძის გამეფება უნდოდათ (ქართლ. ცხ. 293 გვერდი).

თამარს მეორე ქმრისგან ორი შვილი შეეძინა—ლაშა-გიორგი და რუსუდანი. რა სოსლან-დავითი მოკვდა, თამარ-დედოფალმან ქვრიობაში იწყო სინანული, როგორც სწერია: „ხოლო სჯულთა მიმართ საღმრთოთა ვინ იყო ესრეთ მოშურნე, გინა სიმდაბლით თავისა მომდრეკელ, რამეთუ თეოდოს დიდსაცა აღემატებოდა ლოცვანი და ღამის თევანი, რომელნი პალატსა შინა ამისსა აღესრულებოდეს, საეჭველ მიჩნს მეუდაბნოეთაგანცა: ხოლო მარხვისთვის რაღა ვთქვა?.. (ქართლ. ცხოვრ. 336 გვერდი). მაგრამ რა სარგებელი, ხომ ვიცით, რა ნაირი შვილებიც გამოუვიდნენ! იმათ დროს მოევლინა ჩვენს ქვეყანას ღვთის რისხვათ მონგოლთ ურიცხვი ურდოები უწყვეტლივ ზედი-ზედ მოსევით; რითაც მოოხრდა მწარედ ჩვენი ქვეყნის ყოველი თვალ-ნაჩენი მხარენი ჩვენ დიდ სამწუხაროდ ყოველ ნაირად... ეს იყო მიზეზი, რომ რომის პაპები და მის დროს მისსიონერი პატრები ცდილობდნენ ახლად განშორებულს თბილ კვალზედ მიესწროთ და ისევ კათოლიკეთ მოექციათ გიორგი ლაშა, რუსუდანი და ხსვა მეფენი. 1224 წ. ჰონორიო პაპმან მოსწერა წერილი რუსუდან დედოფალსა, რომ იმპერატორი ფრიდრიხი აპირებს ურწმუნოთა წინააღმდეგ ომის დაწყებას წმიდა ადგილებში, ურჩევს დედოფალს, რომ ოღომც ქართველებმაც მიიღონ ამ ომში მონაწილეობა და მე მივსცემ indulgence-ს (ცოდვების შენდობას საერთოდ) ვინც მონაწილეობას მიიღებს ამ ომში ან თვითონ ან მისს დაქირავებულს კაცსაო. კიდევ 1240 წ. რუსუდანი სწერს IX გრიგოლ პაპსა, რომ „ჯვაროსნებმა და ქართველებმან შეერთებულის ძალით გააძიონ ურწმუნო მაჰმადიანები, როგორც საქართველოდგან, ისე აღმოსავლეთის ყველა საქრისტიანო ადგილებითგან. პაპი სწერს პასუხათ რუსუდან დედოფალსა: „რომ ჯვაროსნებს არ შეუძლიანთ საქართველოს საზღვრისკენ წამოსვლა, რადგან ყველა გასა-

ვალი ადგილები არაბებს უჭირავთ''. შემდგომ პაპი ურჩევს დედოფალს და ქართველ ერს, დაემორჩილონ პაპსა, და იმავე დროს უგზავნის 8 ბერ-მონაზონს საქართველოდ დომინიკიანთ იაკობს, ჰუგიჩიოს, ბენეკენთო, პეტრე, ლაბერთ და გვიმარდსა, ესენი ხომ უქმად არ იქმნებოდნენ საქართველოში? აგერ ლამბერთს რა დაწვრილებით, გარკვევით აუწერია სამეგრელო!..

1289 წ. IV ნიკოლა პაპი დიმიტრი მეფეს და დავით მეფეს სწერს წერილს და ურჩევს შეერთებას რომის-კათოლიკებთან და სხვაც ამისთანებს (მწყემსი 1890 წ. № 10. 30). 1329 წ. გიორგი მეფე ბრწყინვალის დროს XXII იოანე პაპმან თბილისი დაამტკიცა ლათინთ რომის-კათოლიკე ეპისკოპოსთ კათედრად და განაწესა დომინიკიანთ იოანე ფლორენტიელი ეპისკოპოსად, მისი ფათენთის სათაურად ასე სწერია: ,,განსაწურთნავად ქართველთ ერისა ღვთის სიტყვითა, დაარსდა თბილისის ქალაქში საეპისკოპოზო კათედრა და დაინიშნა ეპისკოპოზათ ძმა იოანე ფლორენტიელი წ'ა დომინიკეს რიგისაგან''. აქ არც სომეხია ხსენებული, არც ასორი და ბერძენი: იმავე მოწმობის მიცემას მისდა, აფუძნებს პაპი სხვა მის მოღვაწეობათა შორის, რომ ,,მრავალნი სულნი მოგიქცევიაო''. ამ იოანნეს შემდგომ იყვნენ დომინიკიანნი ეპისკოპოზნი: ბერნარდო, რენალდო, ალექსანდრე, იოანე აგვისტინიანი და ალბერდო ანგელ-ფრანკისკიანი. უმწყსიათ თავიანთი ეპარხია ამათ 200 წლამდის და მთელი საქართველო საიმერეთო-სამეხეთოს მრავალგან კათოლიკენი იქმნებოდნენ თუ ლათინის და თუ ბერძნის ტიპიკონზედა, თუ ბევრი არა მაინც ცოტ-ცოტობით. როცა იოანე ეპისკოპოსი განწესდა თბილისში, იმავე დროს ატარპატაკანში სომხებისთვის განწესებულ იყო ლათინი ბართლომე ეპისკოპოზი. ამისმა მოწაფე იოანე ქირნელმან ვარდაპეტმან სთარგმნა ლათინურიდგან სომხურათ რომის კათოლიკეთ მისალი (კონდაკი), ბრევიერი (საწელიწადო) მთელი ტიბიკონით:

დაემოწაფნენ ამათ მრავალნი ნახჩევანს და მის მიდამოებში დომინიკიანების წესიერებით და გავრცელდნენ საქართველომდის და ყირიმამდისაც. ამათ სასულიეროთაგანი მრავალგან მისსიონერ-პატრებს შემწე უხდებოდნენ და ოსმალომ რომ სამცხე-საათაბაგო დაიჭირა, პატრები რომ მალ-მალ იცვლებოდნენ, ამათ ხელში რჩებოდნენ ჩვენი წინაპარნი და იმ დროს სცდილობდნენ თავიანთ სომხური გავლენის ღრმად ალბეჭდას ჩვენსზედ, მაგრამ ვერაოდეს ვერ შესძლებიათ, რადგან ჩვენ წინაპართ არაოდეს უღალატნიათ თავიანთ მამა-პაპური ყოფა-ქცევისა და ენისათვის; მასთან კათოლიკე სარწმუნოებაც წმიდათ დაუცვიათ. როგორც სჩანს რომის წყაროებიდგან, 1755 წელს 8000 სული კათოლიკე ყოფილა ახალციხეში; 700—ივლიტას; 150—ვალეს; 100—არალს; 300—უდეს; 700—ოცხეს და მის მიდამოებში; 170—ხიზაბავრას; ასრე ხერთვისს, ზედა ვარძიას, დადეშს, ახალქალაქს 200, ხულგუმოს, ბარალეთს, თორიას, გოკიას, აწყვერს და სხვაც. საძელს, კვანჯღას, ტატანისს და მისთანა სოფლებს, ველს, არტაანს, არტანუჯს—100; სათლელს—320; შავშეთს 1000; ართვინს—2000; ველს—500; ერუშეთ ნაქალაქევს—100 და სხვაც. დღესაც არის ჩვენს ეკკლესიებში, ახალციხეს, რომში დაბეჭდილი 1714 წ. ბრევიერი სომხურად და მისალი 1725 წ. ვენეტიკში დაბეჭდილი. აგერ ასეთი ლათინის ტიბიკონით უმწყსიათ სომხის მღვდლებს ჩვენი წინაპარნი. სხვაგან ჩვენს მოშორებით, როგორც შავშეთს და ართვინს, თავიანთ სომხური ენის გავლენა კი გაუყვანიათ. მაგრამ მათ სომხურში მესამედი და მეოთხედი ნაწილი მაინც ქართული სიტყვები დარჩენილა ცოცხალი, ფიზიონომია და მამა-პაპური ყოფა-ქცევა, გვარები და სახელები ზოგან მამათა და დედათა. 1755 წ. ახალციხეს გარეთგან მოსულმა სომეხ-კათოლიკე მღვდლებმან იჩივლეს კონსტანტინეპოლს პაპის ვიქარ ეპისკოპოსთან, რომ თბილისის და ახალციხის მისსიონერი პატრები წირვაზედ სამოციქულოს და სახარებას ქართულად

კითხულობენო; დიაკვნებსაც ქართულად აგალობებენო. ასრევე იქცევიან სომხის კათოლიკე მღვდლებიც თუ ახალციხეს და თუ ახალციხის გარემო სოფლებშიო. ესრეთი მათი საჩივარი ვიქარმან წარადგინა რომში, სასულიერობამ გააარჩია წმიდა ოფიჩიოს კრებაში მოხდენილს კვირინალსა 27 იანვარს და 10 თებერვლისა 1757 წ. ამ გარდაწყვეტილებით მიეცათ თურმე ნება ორსავ ენის მხმარებელთ ლათინისა და სომხურისა ჩვეულებ საებრ სამშობლო ქართულის სამოციქულო-სახარების და გალობის ხმარება წირვა-ლოცვაზედ ერის მოსასმენლად, შემდგომად ლათინურის და სომხურის სახარების წაკითხვისა. ამ ნაირივე საჩივარი გაუმეორებიათ სომხის მღვდლებს რომში 1784 წელს, გარნა წ-ა კრებას პირველანდული 1757 წ. გარდაწყვეტილება უჩვენებია წესიერებად და ასრე ამ რიგად დაუყვია პირი მოწინააღმდეგე პირთათვის.

მარტო ქალაქ-დაბებში არ ცდილობდნენ ერის გადაგვარებას, იგივე მივარდნილ მიყრუებულ სოფლებშიაც ჰფენდნენ სომხურ გავლენას. სოფელ ველის ძირთად მცხოვრებთ მისსიონერებმან პატრებმან აუჩინეს ბერძნის კათოლიკე გურული თუ მესხი მღვდელი. მისი მღვდლობა შეიშურეს, არ იქმნას, ახალციხესაც ფეხი არ შემოსდგან მისთანა მღვდლებმან და ადგილები არ გამოგვეცალოს ხელიდგანო, დაუწყეს წინააღმდეგობა; რომ გაუჭირეს ერს საქმე და უშლიდნენ ლოცვა-წირვასა, მიჰმართეს პატრი უფროსს თხოვნითა, აი რასა სწერენ (ვსწერ უცვლელად): „ბატონ პატრი უმფროს: და უმთავრესს მამას საღმრთო სიბრძნით სავსესა, და საღთო მოქალაქობით აღზრდილსა ქ. ცოდვილნი ერნი ველის ზოგად კათოლიკები; ქართველთ გვარისანი უმწყემსოდ დაცვინულნი, ცხოვარნი: პირველად ღთისაგან რჩეულსა, და მერმე წ-ა კრებისაგან აღმორჩეულსა: აღმოსავლეთის კათოლიკე ეკკლესიის შვილებზედ: ზედამხედველად დადგინებულსა: ჩვენ ცოდვილნი და არა ღირსად წოდებულნი: კათოლიკე სარწმუნოებისა: ქედ დადრეკით: დავრდომით, ხელპყრობილნი

საღთოსა მას ფერხთა ანბორებას, მიუძღვნით. ახლა ამას გე-
ხვეწებით: დავუნჯებით რომ ჩვენი რიგის მღდერი: ღმერთს
გამოუგზავნია: ჩვენთვის: და ეგ ჩვენი კათოლიკე მამები აყა-
ენებენ ახლა: ამ წყალობას ვითხოვთ თქვენის მოწყალე გუ-
ლისაგან რომ თქვენის ბრძანებით: წყალობა უყოთ მაგ ჩვენ
მღდელსა რომ ჩვენ საბრალო: სულებს მოუაროს ჩვენ ქარ-
თველთ რიგზედა არა თუ იმ შეჩვენებულის ფოციოს რიგ-
ზედა მაგრამ იმ წ~ა მამის: იოანეს ოქროსპირის რიგზედა:
ახლა თუ იკითხოთ: ჩვენი ნამყაენობა: ლათინთ ნამყაენი და
ნაყაოფნი: დამოწაფებულნი და მონადირებულნი ვართ: არა
თუ სომეხთ გვარისაგან: და ესეც უწყოდეთ: ბატონო: თუ
რომ მაგ მღდელის წყაალობას გვიზამთ: დიაღ ბევრს სულებს
შეგვძინამს ღმერთი; ხელს აწერენ ქ. ტერ სიმონ. ქ. ეფრე-
მა. ქ. ალექსანი. ქ. ელიზბარი. ქ. ყაარაგოზი. ქ. დავითი.
ქ. ამოსტოლი. ქ. მესროფი. ქ. ასლანი. ქ. ჟოჟო. ქ. სუნ-
ბული. ქ. პეტრეი. ქ. ისაი. ქ. პავლეი. ქ. ოქროაი. ქ. შიო.
ქ. ელიკი. ქ. ცაცოი. ქ. თათა. ღთით. ახალციხეს
პატრი უმფროს: მიერთვას.

როცა ახალციხის ათაბეგი გამაჰმადიანდა 1625 წ. და
საფარ ფაშა დაირქვა სახელად მესხებთაგანთ მრავალთ იწყეს
გარდასახლება საიმერეთო საქართველოსაკენ, ოსმალების
ბარბაროსობის მიზეზით, რომ ძალათ ამაჰმადიანებდნენ ქრის-
ტიანთა. ამ დროს სომხების კათალიკოსი მოსე მგონი თავ-
დებად დაუდგა სომხობასა, „თუ სომეხთაგანი ვინმე გაიქცეს,
მისი გადასახადი მე მთხოვეთო“, რითაც ააცილა სომხებს
დევნულობა. ქართველთ რომ არავინ ჰყავდათ თავმდები მო-
პასუხე, მით მთელი ოსმალების მძლავრობა იმათზედ იყო
მიქცეული, რომ გაემაჰმადიანებინათ დიდით წვრილამდის,
რომ უშიშრათ ყოფილიყვნენ მათის მოღალატობისაგან. ამ
დროს სომხის კათალიკოზები დაახლოებული იყვნენ რომის
პაპებთან და ცდილობდნენ სომხის მთელის ერის დაახლოე-
ბასაცა. აი როგორც 1647 წ. ფილიპე კათალიკოზმან მის-

წერა მორჩილების წერილი X ინოკენტიო პაპსა, სადაც 26 ეპისკოპოზს ხელი ეწერა და 6 ვარდაპეტსა. ეგრეთვე 1691 წ. ნაჰაპეტ კათალიკოზმან მისწერა მორჩილობის წერილი XII ინოკენტიო პაპსა, ამისთვის ურჩიეს ახალციხის კათოლიკეთ მისსიონერებმა კლემეს გალანოსმან და პავლე ფირომალმან შესულიყვნენ სომხის კათალიკოსის ფილიპპეს მფარველობაში, რომ ასცილებოდათ დევნულობა. ასეც მოიქცნენ, მით იმ დღიდგან გვიგზავნიდნენ მირონსა და სამ წელიწადში ერთხელ ჰკრებდნენ ჩვენგან გარდასახადს ფულებსა. 1700 წლიდგან კი წინააღმდეგნი კათალიკოზნი აღმოჩნდნენ რომის პაპებისა და იწყეს მთელს ოსმალეთში მწარე დევნულება კათოლიკებზედ და ჩვენშიც მეტად 15 წლამდის, რომ აღარავის ჰქონდა თავისუფლობა. ვინმე სომხის მღვდელი რა მოიქცეოდა ხოლმე ახალციხის მისსიონერების ჩაგონებით, მაშინვე ასტეხდნენ სომხის კათალიკოზები დევნულებას ხშირად ხოლმე კათოლიკებზედ და ატყვევებდნენ, სტანჯავდნენ, სცემდნენ, ხოცდნენ ჩვენს მღვდელთა და ერთა...

ასრე ამდენი ტანჯვა-წვალება გამოუვლიათ ჩვენ წინაპართ, არა მარტო სომხებისაგან და მაჰმადიან ოსმალოებისგან, იმავე ერთ-მორწმუნე კათოლიკებისაგანაც, რომ ენა და გვაროვნობა შეეცვალათ და გაესომხებინათ; მაგრამ ღვთის მადლით მტკიცეთ დარჩენილან თავიანთ გვარის მოყვარულობაზედ, და მით მამა-პაპური კათოლიკე სარწმუნოებაც ხელთ შერჩენიათ.

ვინმე მესხი.

ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა

ჰერეთისა

(შემდეგი *).

რაც აქამდე დავსწერე, კაკის ისტორიული ცხოვრება ამით კიდევ არ თავდება. კაკი არის რეზიდენცია ენისელისა. იგი არის დედა საინგილოს სოფლებისა: ალიბეგლოსი, ქოთოქლოსი, ყორაღანისა, ზაგანისა და სხვათა. ყველა ამ სოფლების მცხოვრებნი გასულან კაკითგან და სოფლები დაუარსებიათ. ამისთანა მშობელს სოფელს, რასაკვირველია, ბრწყინვალე წარსული უნდა ჰქონდეს. საუბედუროთ არა გვაქვს მისი აღწერა. მაგრამ 12 ეკლესია ამტკიცებს კაკის ბრწყინვალე წარსულს. ყველა მათის აღწერას მე აღარ ვხადი საჭიროდ, მხოლოდ მოვიხსენიებ კიდევ ზოგიერთს. ასრე, ერთი მათგანი არის ანუ იყო იქ, მთის ძირას, საცა კაკის თავში თათრები სცხოვრებენ. ის მე მინახავს ჰატარაობაში. მის კედლებში წარწერილი ქვაც იყო, მაგრამ 1855 წელს თათრის მოლას ეკლესია სრულიად დაუნგრევია და წარწერილი ქვაც წაუღია და თავის ახლად აშენებულს სახლის კედელში ჩაუტანებია პირუკულმა. ამას მწუხარებით მეუბნებოდა ხოლმე დედი-ჩემის ძმა, გამოჩენილი შინაური ექიმი. ამის გასწვრივ, სამხრეთისკენ, საცა ეხლა რუსებისაგან აშენებული ციხეა, ყოფილა დიდი საკრებულო ეკლესია. ის რუსებმა დაანგრიეს. მისი ჩუქურთმებიანი, კარების თავზე მყოფი ნამგალსავით მოფარგლული ქვა, ქურმუხის მდინარის კალაპოტში

*) იხ. მოგზაური № 2.

ეგდო 1870 წელს. ეს ქვა ძვირფასად ღირდა. მსურდა მისი როგორმე წამოღება კაკის ეკკლესიის ეზოში, მაგრამ უგუნურმა მტერმა მამა ღამ —მა არ მაცალა. აწ იგი დაღუპულია. იგი აღარა სჩანს: ქურმუხს დაუმარხავს შლამს ქვეშ. ეკლესიას, რომელსაც ის ეკუთვნოდა, დედი-ჩემის მამა, ჩემი პაპა, რომელიც მახლობლად ამ ეკკლესიისა სცხოვრებდა, „ლურჯ ეკკლესიას“ ეძახდა, რადგან სახურავი მას ჰქონია ლურჯად შირმიცემული აგურისა. ამის გარდა არიან კიდევ სხვა ეკლესიებიცა, მაგრამ იმათ აღარ მოვიხსენიებ. ვიტყვი მხოლოდ ერთს პატარა ეკკლესიაზე, რომელიც კაკელ თათრის მამულშია, გზის პირად, კაკის ბაზრის ბოლოს. მისი საფუძველი-ღაა დარჩენილი. ყოფილა აშენებული თლილის ქვით. პატარაა, მაგრამ შესანიშნავია. თათრის დედა-კაცები იმაში აბანებენ უორმოცო ყმაწვილებს, იმ განზრახვით, რა განზრახვითაც სოფელ გულლუგის ეკლესიაში აბანავებენ. ასრეთი ქცევა თათრის დედაკაცებისა მითხრა (1898 წელს) კაკელმა თათარმა, როცა მე მისგან ფიცრებსა ვყიდულობდი. როცა ვუთხარ, მსურს ეს ეკლესია შემოვღობო და წმინდად და სუფთად შევინახო-მეთქი, თათარმა მიპასუხა: „არ შეიძლება, ჩვენი თათრები მაგის ნებას არ მოგცემენო“.—რატომათქო? —დავეკითხე მე.—იმიტომაო, რომ ჩვენი მშობიარე დედაკაცები ამ ეკლესიაში ახალ დაბადებულ ყმაწვილებს წყალში აბანებენო“. ასრეთი ქცევა თათრის დედა-კაცებისა მე მაძლევს შემთხვევას კიდევ გავიმეორო, რომ ეს ეკლესია სამარტვილო ყოფილა. მას უნდა ჰქონოდა შიგ კედელში ემბაზი გაკეთებული, საცა უნათლავთ ყმაწვილები. იმასა ჰრქმევია სამარტვილო ემბაზი. ასრეთი ემბაზი ჰქონდა მცხეთის „სვეტი-ცხოველსაც“. „შევსჭედე წმინდა ესე სამარტვილოჲ ოქროითა და ვერცხლითა, თვალითა და მარგალიტითა“. .—სწერს მცხეთის გუჯარში მელქისედეკ კათალიკოზი. მცხეთა ხომ თვით ემბაზი არის საქართველოს ერისა!..

საკვირველია, რომ საცა უწინდელ ქართველთ სოფლებში ლეკები ჩამოთესლილან დაღისტნიდგან, იმ სოფლებში ეკლესიები თითქმის კარგად შენახულან, მაგალითად: ყუმში, ლექეთში, მუხახში, ფიფინეთში და სხვაგან. ხოლო კაკში ყველანი საფუძვლამდე არიან დარღვეულნი. ეს ფაქტი იმას ამტკიცებს, რომ კაკელთა წინაპრებს დიდი დავიდარაბა, მტერთან ბრძოლა და ჟლეტა გამოუვლიათ. სხვა მთის ძირა სოფლებში ქართველები სრულიად გალეკებულან, უარი უყვიათ თავიანთი ხალხოსნობა, დედა-ენა და სარწმუნოება, მაგრამ ეკლესიები მაინც რიგიანად შენახულან, კახში კი არც ერთი. კაკელებს ძლიერად უბრძოლნიათ მტერთან, არ აუღიათ ხელი სარწმუნოებაზე, და მტერსაც, როცა გაუმარჯვნია, ეკლესიები ურღვევია და უნგრევია, რომ მოუსპოს ხალხს სალოცავები. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან კაკი ყოფილა რეზიდენცია საინგილოსი. ლეკებს ბევრჯელ მოუწადინნიათ ქართველების ამ სოფლიდგან გარეკა და მისი დაპყრობა, მაგრამ კაკელებს წინააღმდეგობა გაუწევიათ და მტრისთვის არ დაუთმიათ სამშობლო. ეს ერთად-ერთი სოფელია, რომელიც კაკელებს უჭირავთ კავკასიის მთის ძირში, და არის მშობელი დედა სოფლებისა: ალიბეგლოსი, ქოთოქლოსი, ყორაღნისა, ზაგანისა, სოსკნისა, მოსულისა და ალიაბათისა. 1850 წლამდე ყველა ინგილოს სოფლები ზაქათალის ოლქისა ამ სოფელს შეჰყურებოდა. ყველანი მალვით აღიარებდნენ ქრისტეს სარწმუნოებას და ამბობდნენ, რომ თუ კაკელები აშკარად გაქრისტიანდებიან, უეჭველად ჩვენც მოვინათლებითო. ასეც მოჰხდა. 1850 წლიდგან 1855 წლამდე კაკელები მოინათლნენ. ამის შემდეგ გაქრისტიანდნენ ენისელნში მცხოვრებნი ინგილონიც; მაგრამ ქრისტიანული მისია ისეთ შემცდარ გზას დაადგა, რომ ხალხი იძულებული შეიქმნა 1863 წელს გადამდგარიყო თავის მამა-პაპის სჯულზე და მიეღო მაჰმადის სარწმუნოება, რომლის შემდეგ ალიაბათი მოთავობას უწევს მუსულმან ინგილოებს ენისელში,

ხოლო კაკი—ქრისტიანებს ზაქათალის ოლქში. ებრძვიან ესენი ერთმანერთს და იმედია დროთა ვითარებანი გამარჯვებას მისცემენ ქრისტიან ინგილოებს. ნუ თუ არ უნდა აღსრულდეს ქრისტეს სიტყვა: ,,აღვაშენებ ეკლესიასა ჩემსა და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ჰძლევენ მას''.

კაკი მუდამ კახეთის სამეფოს ეკუთვნოდა. თუმცა 1602 წელს შააბაზმა ,,მიუღო კაკი კახეთის მეფეს ალექსანდრე მე-II-ს და მის წილ მოსცა შვიდასი თუმანი (7000 მ.) ყოველს წელს''; მაგრამ კახეთის მეფენი მაინც თავს არ ანებებდნენ კაკს (იხ. ქ.-ცხოვ. გვ. 111). შააბაზიც მეცადინეობს იმის არ გაშვებას ხელიდგან. იმან გაამაჰმადიანა ვიღაცა თ. ვახვახიშვილი, გააბატონა კაკში და მისცა ხარისხი სულთნობისა (ხევის ბერობა); მაგრამ 1620 წელს იმავე შააბაზმა კაკი ზაალ-ბეგსა და ყისუ-ბეგს (ძმებს) გურამიშვილებს მისცა, რომელთა სამფლობელოც ყოფილა კაკი და მისი არე-მარენი. იმათი მამებიც და ესენი ორივენიც გამაჰმადიანებულნი ყოფილან, ამისათვის შააბაზი მათ სწყალობდა, ჰშველოდა და ექომაგებოდა. 1587 წელს, როცა ის გახელმწიფდა, მისწერა ქართლის მეფეს სიმონს, უთუოდ და დაუყოვნებლივ დაუბრუნე ზაალ-ბეგსა და ყისუ-ბეგს გურამიშვილებს იმათი კუთვნილი მამული, რომელიც კაკის საბოქაულოში არისო. 1635 წელს შაჰსეფი სწერს თავის ფირმანში, რომ გურამიშვილებს საბატონოდ მიწები შააბაზმა აჩუქაო, და ბრძანებას აძლევს გურამიშვილებს ქართლის მეფეს როსტომს ემსახურეთო (იხ. Груз. Двор. грам. Пурц. გვ. 83—88). თუმცა ასე გულმოდგინეთ ექომაგებიან სპარსელნი გამაჰმადიანებულ გურამიშვილებს, მეფენი მაინც თავს არ ანებებენ კაკს და იცავენ ქრისტიანობას. 1612 წელს მეფე თეიმურაზმა შესწირა ალავერდის ეკლესიას 37 კომლი კაკელი (იხ. ჟორდ. ქრონ. გვ. 439). მეფე ვახტანგ VI-მ შესწირა კაკის ღვთისმშობლის ეკლესიას ჯვარი, სახარება, სანაწილე, ბარძიმ-ფეშხუმი და სხვა საეკლესიო სამკაული. ამ დროს აქ მღვდლად

იყო დიმიტრი ხუციშვილი. შეწირული ნივთები დღესაც შენახული აქვთ მის შთამომავალთ. მეფე ირაკლი მე-II სიკვდილამდე იწოდებოდა მთავრად კაკისა.

მაგრამ დღენი ქართველთ ბატონობისა კაკ-ენისელში დათვლილნი იყვნენ 1602 წლიდგან. 1616 წელს შაბაზმა ორჯელ აღაოხრა ქართლი და კახეთი, აჰყარა კახეთის ხალხი და წარიყვანა სპარსეთს. აი ამ უბედურს დროს, როგორც ამბობს ხალხის გადმოცემა, შერმაზან ჯანაშვილის ძმებმა კაკელები შეხიზნეს ცოლ-შვილიანად ულუბაშის მთაში. აქ დედაკაცებმა გაიკეთეს ალაჩუხები და ჭურჭლის დასაწყობი თაროები, რომელსაც დაარქვეს სასაცილოდ „შაბაზის კორთე“—თარო (ესე იგი სამზვარეულო) და მას აქეთ იმ ალაგს ამ სასაცილო სახელს ეძახიან. მერე მამა-კაცები გადაელობნენ შაბაზის ჯარს კაკის ბოლოს. რამდენიმე დღე თავგანწირულად ეომნენ ბტერს და ისრეთი ჭრა-კაფვა, ყათლამი აუყენეს ყიზილბაშთ, რომ მტერი შეძრწუნდა. სოფლის ბოლოს ორღობეებში ისრე უჩეხიათ კაკელებს ყიზილბაშნი, რომ შეშინებული მტერი უკან დაბრუნებულა, სოფლის ბოლოს გასულა და აუკლია და აუოხრებია კაკის არე-მარენი. კაკელები გაჰმკლავებიან მას სოფლის გარეთაც, და რომელ სპარსელისათვისაც კი შემოუკრავთ ხმალი, ჩაუკარაკებიათ, მაგრამ ბოლოს ყიზილბაშთა უმრავლესობას მაინც უძლეევია მათთვის. ამ ომში დახოცილან შარმაზანის ექვსი ძმაცა. ამბობენ, ამ ომში ყველა მამა-კაცნი გასწყდნენ და დარჩნენ მხოლოდ დედა-კაცებიო და სოფელში ფარსაგი კაცი აღარ დარჩა, რომ მამასახლისობა გაეწიაო. მაშინ გამოსულა დედა-კაცი დარეჯანი და კაკელთა მეთაევედ გამხდარა. ეს დედა-კაცი შეიარაღებული თურმე დადიოდა სოფელში და ამხნევებდა ხალხს. რამდენიმე წელიწადი ის ყოფილა კაკის მამასახლისად და პატრონობა გაუწევია სამშობლოსათვის. იმას კაკელები ეძახიან თათრულად „დარეჯან-ყარი“. კაკის სულთნებიც თურმე მას ასრე უწოდებდნენ.

შაბაზმა თუმცა ამ ჟამად ვერ დაიმორჩილა კაკი, მაგრამ არ დაეხსნა მას. მის შემწეობით ჭარელმა ლეკებმა დაიპყრეს ყველა კავკასიის მთის ძირას მყოფი ქართველთა სოფლები, უკვე ზემოთ აღწერილნი, განაცალკევეს კახეთისაგან კაკ-ენისელი და მოამწყვდიეს თვისსა და გათათრებულ ნუხის მაზრას შუა. ამის შემდეგ შაბაზმა კაკიც მოაგლიჯა კახეთის სამეფოს, გაათათრა ქართველი თავადიშვილი და გააბატონა კაკში; მაგრამ კაკელები მაინც არ გატყდნენ, არ დასცხონენ და არ გამაჰმადიანდნენ. მათ არ უღალატეს არც სარწმუნოებას, არც სამშობლო ენას.

კაკის ისტორია ამით კიდევ არ თავდება. მისი ისტორია გრძელია. კაკელები აზატნი ყოფილან. იმათ ბატონი არა ჰყოლიათ. მართალია ყოფილან თავადნი ხალხის მეთაურად, მაგრამ კაკელები არა ყოფილან მათი ყმანი. სულ თავდა-პირველად ისინი ემორჩილებოდნენ ქორეპისკოპოსებს, რომელნიც მათი მოსამართლენი ყოფილან. მათ დაუკითხავად აქაურნი თავადნიც ვერავითარს სადაო საქმეს ვერ ათავებდნენ. ასრე ამბობს ხალხის გადმოცემა და ასრე ეწერა ფოლადა-შვილების გაყრის სიგელშიაც. ეს ამბავი თათრებმაც კი იციან. „პატრონი ამ ქვეყნისა „ყარა-ქეშიში“ ყოფილაო“,— ამბობენ ისინი. ჩვენი საეკლესიო ისტორია იმათ „გიშელ“ ეპისკოპოსებს ეძახის.

პოლიტიკურ უკუღმართობას მოუშლია ცხოვრების კა-ლაპოტი საინგილოში მე-XIII და მე-XIV საუკუნოებში. მონგოლები გაძლიერებულან ნუხის მაზრაში, და მაშინ ეპის-კოპოსნი გადმოსულან გიშიდგან სოფელს კაკს, და ამის შემდეგ მსხდარან ხან ქისში, ხან კაკში—ქურმუხის ეკლე-სიაზე. კირილე დონაური კაკ-ენისელისა და შაქის მთავარ-ეპისკოპოსებს უწოდებს „ქიშ-ქურმუხელად“, ანუ „შაქელ-ქურმუხელად“. 1333 წლამდე აქ მსხდარან გიშელ-ქურმუ-ხელნი: ზაქარია, პეტრე, იოანე, არჩილ, ლუკა, ევაგრე, შიო, გობრონ, გიორგი, იოსები, ზოსიმე, თადეოზ, მინა,

ბიქელ, ნიკოლოზ, ტარასი, ბართლომე, თადეოზ, თეოფილე, კვირიონ, კირილე დონაური და ლევან (იხ. ისტ. მ. ჯანაშვილისა, გვ. 206).

ქურმუხი ჰქვიან მდინარეს. ის კაკშია და მის პირზეა აშენებული ეკლესია (კანგარაკის მთაზე) რომელსაც აწ უწოდებენ „ქურმუხის წმინდა გიორგი“-ს, ხოლო თეიმურაზი უწოდებს „ჭარის წმინდა გიორგი“-ს. შესანიშნავია ალაგი საცა ეკლესიაა. აქ არის დიდი, ეკლესიის ოდენი, ქვა. ასრეთივე ქვები, მაგრამ უფრო წვრილები, მრავლადაა აქ სხვებიცა. ყველა ეს ქვები მთის კალთაზეა აშვერილი. ინგილოები ამბობენ, რომ ეს ქვები (წვრილები) აქლემები არიანო და მოუთხრობენ: „მეაქლემეს ქარავნით გამოუვლია აქაო, შეჰპირებია ქურმუხის წმ. გიორგის ეკლესიას: „შემოგწირავ საღმრთოს, თუ მშვიდობიანად და კარგის მოგებით დამაბრუნებ საქართველოდგანაო“; მაგრამ როცა დაბრუნებულა, მაშინ ასულა ეკლესიასთან და, ვერძის ნაცვლად, მოუძღვნია ტანზე მკბენარი, დაუდვია მის კარებს წინ, მოუკლავს და უთქვამს: „ეს არის შენი საღმრთოო“. ამის გამო გასწყრომია მას ეკლესია და მისი აქლემები წმ. გიორგის ქვებად გარდაუქცევიაო. ეკლესია ყოფილა აშენებული უუდიდეს ქვაზე. ის არის ჩამოთლილი, შესწორებული და ეკლესიის სახე მიცემული. ზემოთ თავზე ჰქონია ქვითკირის შენობა. მისი ნაშთი ეხლაც ეტყობა. მას თავი ჩახვრეტილი აქვს შუაზე, იქ, საცა უნდა ყოფილიყო იატაკი. ეტყობა ზედ ეკლესია ყოფილა აშენებული, მაგრამ როდის, არავინ იცის. მე-VI საუკუნის დასაწყისს აქ მჯდარა ხუცესი. მის დროს ყოფილა პეტროს კაწრველი, ცნობილი მწვალებელი პეტროს გნაფი ფულლონი. ამან მიაღებინა სომხებს მონოფიზიტობა. ეწადა ქართველების მიქცევაც მწვალებლობაზე. ამბობენ, ამან იშოვა ერთი პატარა ლეკვი ძაღლისა და გაწურთვნა ის. რასაც ეტყოდა, ასრულებდა. ის იყო ბელადი და იყო საოცარი ძაღლი. სახელად ერქვა ალაჯა. „რა ჟამს ჰქვის ალაჯას პე-

ტროსი—წარვედ იქი, და წარვიდის და წინა უძღოდის პეტროსს, ვითარცა მოციქული. დღესა ერთსა წარგზავნა ალაჯ პეტროსთან კურმუხს (იხ. „სამოთხე“ გვ. 630) სახლად ხუცისა. გაიგო ხუცესმა მისვლა ალაჯისა და ჰრქვა მოწაფეთა თვისთა: „რაც გიბრძანოთ, ჰყავთ შვილნო ჩემნო“ (ეტყობა შკოლა ჰქონია). ხოლო მათ მოახსენეს: „რაიცა სათნო გიჩნს —ვყოთ“. ჰრქვა ხუცესმან: „მოჰკალითო ალაჯა“. მიუგეს ხუცესსა. და ჰრქვეს: უკეთუ სცნას ესე პეტროს, სადღა იყოს საფლავი ჩვენი‘‘. მიუგო ხუცესმან: ,,მე ვარ მაგის პასუხისმგებელი, შვილნო ჩემნო‘‘ (იხ. ,,სამოთხე‘‘, გვ. 630). მათ მოჰკლეს ალაჯა, გადააგდეს ხევში და დააფარეს ქვითა მძიმითა. „მაშინ მოვიდა პეტროს და რა ვერა ჰპოვა ალაჯა, ჰკითხა ხუცესს: „სადა არს ალაჯა, მე აქა წარმოვგზავნე?“ — „მე არ ვიცი“,—უპასუხა ხუცესმა. „ხოლო რა მოვიდა ქვეყანასა ამას ჩვენსა, დაჯდა (ქურმუხში) ზემო კერძო მაღალსა რასმე საყდრად შენებულსა და ეცვა მას სამოსელი დიდ ფასისა და იყვნენ სახელნი მისნი გრძელ, რომელ მიუტყორცნის თაყვანის-მცემელთა მისთა; და შეუდგა მის წვალებასა დაბნეული ნათესავი სომეხთა... მოუწოდა ნეტარსა მიქელ კათალიკოზსა ქართლისასა, რათა ანუ ჰსჯულსა მისსა ეზიარნენ, ანუ, თუ ურჩ ექმნას, საყდრისაგან* (საყდარი—ტახტი საჯდომი) განიყვანოს (ესე იგი ეპისკოპოსობისაგან გადააყენოს, აჰხადოს ხარისხი). მიქელ კათალიკოზი წამოვიდა მცხეთით, წამოიყვანა ეპისკოპოსნი, მღვდელნი და მრავალნი დიდებულნი, მოვიდა ქვეყანასა კანგარისასა *, და უბრძანა ყველა მხლებლებს, თითო ქვა ჩაედვათ ქუდში, და თანაც

---

*) ჟორდანია ამბობს, ვითომც ,,კანგარი‘‘ წარმოშდგარ იყოს სიტყვიდგან ,,აგარა‘‘, რომელიც ითარგმნება ,,სადგური საზაფხულო‘‘, (სომხურად კანკარ); მაგრამ მე ვგონებ, რომ ეს სიტყვა გადამახინჯებულია და უნდა იყოს ,,კაკ-აგარა‘‘ ანუ კაკის აგარა, საზაფხულო სადგური.

დაარიგა: „ვითარ იხილოთ ჩემგან, თქვენცა ეგრე ჰყავთ ყოველთა“. მოვიდა მიქელ კათალიკოზი „და თაყვანისცა წინაშე საყდრისა მის პეტროს მკაწვრელისასა, ხოლო მან შთაუდვა სახელი შესამოსლისა თვისისა, რათა ემთხვიოს მიქელიცა ჩვეულებისაებრ მისისა“.

„ხოლო ღვთივ გაბრძნობილმან მიქელ უპყრა სახელსა მისსა და შთამოზიდნა ძლიერად და შთამოითრია (კლდიდან) ქვეყანად, დააკვეთა და დასცა ქვითა მით, რომელი აქვნდა ქუდსა შინა და განტვინა ულთო იგი და ზვავი (ამაყი, ამპარტავანი), და დასდვა წყლულება სასიკვდინე. მაშინ ყოველთა მყოფთა ეპისკოპოსთა, მღვდელთა და დიდებულთ ჩააქვავეს და მოკლეს მგელი იგი, და შეერიცხა მათ სიმართლედ კაცის კვლა იგი. მაშინ ზარი და შიში დაეცა მათ ყოველთა მიმდგომთა პეტროსისათა“ (იხ. „სამოთხე“, გვ. 632).

„ეს უწყება,—ამბობს ბ. ჟორდანია,—ამოღებული სუბსარქისის ცხოვრებიდან და საბინინის „სამოთხე“-დამ, ეთანხმება სხვა წყაროებს და ისტორიის მიმდინარეობას: 1) პეტროს მართლაც ვახტანგ გორგასლანის დროს სცხოვრებდა და მიქელიც მისი თანამედროვე იყო; 2) მიქელის ხასიათს სრულიად ეთანხმება ესრეთი მისი საქციელი: ხასიათით ფიცხელმა მიქელმა თვით ვახტანგ მეფესაც კი არ დაუთმო და ერთი კბილი მოსტეხა; 3) მე-X საუკ. სომეხთ მწერალი უხტანესიც ამოწმებს პეტროსის თავ-გადასავალს, და სწერს: აბრაამ კათალიკოზმა (580—603) ეპისკოპოსი პეტროს გაუგზავნა ქართლის კათალიკოზს კირიონს; ქართველნი დაემუქრნენ პეტროსს, მოგკლავთ სარწმუნოებრივის განხეთქილებისათვისაო: ამ გმირობით გაამაყებულთა ქართველთა, ჩვენს დროამდე შეინახეს მოთხრობა, რომელიც მამათაგან შვილებს გადაეცემა, რომ თქვენი მგელი პეტრეს ჩვენთა დიდებულთაგან მოკლულ იქმნა კანგარის მთაზეო; 4) პეტრე მკაწვრელს *)

---

*) სიტყვა მკაწვრელი უდრის რუსულ სიტყვას еретикъ. პეტროსმა სჯული ქრისტესი დაკაწრა, დაკეპა. ჩვენში მიღებულია სიტყვა მწვალებელი, მაგრამ სიტყვა „მკაწვრელი“ სჯობია.

ხსენიებს ქართველთა მწერალი მე-X საუკ. ეფთ ვიმე გრძელი იერუსალიმელი, და ეუბნება სომეხთა მოძღვარს სოსთენს: ,,პეტრე მკაწვრელი მოვიდა თქვენს ქვეყანაში, აღავსო ბოროტითა წვალებითა და შეაცდუნა ერი იგი უსწავლელი; იაგრამ ღმერთმან შეჭურვა და ქვითა განტვინა იგი ნეტარმან მიქაილ და კრებულმან მისმანმ სალმრთომან უკეთური იგი დაქოლეს;'' 5) მას (პეტროსს) იხსენიებს მე-X საუკუნეში რსენ კათალიკოზიც და ჰხადის ანტიოქელად. ,,ამ საბუთების მიხედვით,—დასძენს ჟორდანია თავისს ნათქვამს: ჩვენ პეტროს მკაწვრელი მიგვაჩნია პეტროს კანაფელად ანუ პეტრე ფულლონად'' (იხ. ქრონ. ჟორდ. 1 ნაწ. გვ. 316, 317, 318).

ინგილო ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება).



ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობა

მეფის ირაკლის მეორის დროს.

(შემდეგი *)

პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც არსებობდა საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლამდე.

მეფე ერეკლეს სამფლობელოს შეადგენენ ორი სამეფო: ქართლისა და კახეთისა. უკანასკნელი სამეფო მან მემკვიდრეობით მიიღო თავის მამის თეიმურაზ მეფის შემდეგ, რომელიც რუსეთიდგან უკან დაბრუნების დროს გარდაიცვალა ასტრახანში. ქართლის ტახტზედ კი აყვანილ იქმნა ნადირ-შაჰის-მიერ; რომელმაც გაანთავისუფლა ქართლი ოსმალეთის ბატონობისაგან. ქართლის მეფემ ვახტანგმა, ოსმალეთის წინააღმდეგ რომ ვერა გააწყო-რა, გარდასახლა მთელი სახლობით რუსეთში, რომლის მემკვიდრენი დღესაც იქა სცხოვრობენ. ამ ნაირად გაერთდა ორი სამეფო. მეფე ერეკლეს სხვაფრივაც გაულიმა ბედმა; ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ სპარსეთში ასტყდა შინაური განხეთქილება და სამეფოს გაიყო რამდენსამე სახანოებად. ამით ისარგებლა მეფე ერეკლემ, დაამარცხა ზოგიერთი ხანები და თავის სამეფოს შემოუერთა ორი სახანო—განჯა და ერევანი. ოსმალეთთანაც შეკრა ყაინარდჯუნში კავშირი და მით დაამყარა სამეფოში მყუდროება; შემდეგ

---

*) იხ. „მოგზაური“ 1902 წ. № 2.

დაამარცხა ავარიის ხანი, შეეკრა მასაც კავშირით და ამის შემდეგ მრავალი მთიელნი ჰყავდა მას მძევლებად, რომელთაგანაც ზოგი ჯამაგირით ჰყავდა მოსყიდული და ზოგიც ჯარში ჰყავდა შერიცხული და მათთან ერთად ომობდა სპარსელების წინააღმდეგ. აქვე ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ მეფე ირაკლის მთიულთა ხალხთა ყველა ტომებთან არ ჰქონდა ერთგვარი განწყობილობა და მშვიდობა. ამით სარგებლობდნენ მუხთალნი მტაცებელნი და ამბოხების მოყვარე მთიულნი და ხშირად ესხმოდნენ და არბევდნენ საქართველოს, თუმცა ყოველ ივინ დამარცხებრლნი რჩებოდნენ ხოლმე იგინი. რადგან მათ ერთიანის ძალით ვერ შესძლეს პირდაპირ მისი აოხრება, ამიტომ დაიწყეს ნაწილ-ნაწილად და მალულად ბისი დარბევა-აოხრება; მოედვნენ რა ტყე-ღრეს და ხეობებს, ქართველთათვის შეიქმნენ იგინი მიუდგომელნი და საშიშნი, გზები გაუვალნი და სახიფათონი, სოფლები აოხრებულნი და მინდვრად მხვნელ-მთესველნი დაუფარველნი და დაწიოკებულნი. ამ საყოველთაო უბედურობას და აოხრება-დარბევას ხელს უწყობდნენ თვით ქართველი თავადიშვილები, რომელნიც, გამომჟღავდებოდა ხოლმე თუ არა მათი მეფის წინააღმდეგ შეთქმულობა და ღალატი, გარბოდნენ დაღისტანში და თითონ მოუდიოდათ იქიდგან წუნკალა ლეკები სამშობლოს ასაოხრებლად. ბატონიშვილმა ლევანმა, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, ალაგმა მათი თავგასულობა, მაგრამ ავაზაკობა და ცარცვა-გლეჯა დღემდე მაინც არ მოსპობილა, და დღემდე სავსეა ლეკებით ის გასავალი გზები და ხეობანი, რომელნიც თვით ქართველებმა ასწავლეს მათ. ამ უბედურობის თავიდგან ასაცილებლად და ლეკთა თავ-გასულობის ასალაგმავათ საჭიროა, რომ ყველა ქართველმა გამოიჩინოს სამშობლოსადმი ერთგვარი სიყვარული და ერთგულობა.

ოსები და კაბარდოელნი ყოველთვინ ერთგულნი იყვნენ საქართველოსი და დღესაც მეფის მოთხოვნილებით ჯამაგირით მსახურებენ იგინი მის ჯარში.

სპარსეთის მხრიდგან ადერბიჯანელ ხანებ შორის ყველაზე ერთგული იყო მეფისა შუშის მფლობელი იბრაგიმ-ხანი, რომელსაც 26 წელიწადი მეგობრული კავშირი ჰქონდა მეფესთან და რომელიც განჯის დამორჩილების შემდეგ აძლევდა მას ხარკს და ორთავე მხრიდგან ნიშნავდა ქალაქში მმართველთ.

ნუხის ხანს მცირე-მფლობელობის გამო საქართველოსთვის არა ოდეს არ ჰქონია დიდი მნიშვნელობა. იგი თავის ადგილ-მდებიაროობის წყალობით ხშირად ცვლილობდა თავის მოქმედებას, ხან ემხრობოდა ლეკებს და მთიელ ხალხებს და მეფის წინააღმდეგ მოქმედობდა და ხან მეგობრული განწყობილება ჰქონდა მასთან.

ერევნის ხანი, მამა ეხლანდელი ხანისა, ჰუსეინ-ხანი, იქმნა რა მეფე ერეკლეს მიერ დამარცხებული, არამც თუ დაემორჩილა მას, არამედ მან სამუდამოდ აღიარა თავის თავი სრულ ქვეშევრდომად და მისცა მეფეს ამის შესახებ საჭირო ხელ-წერილი, რომელსაც მტკიცედ იცავდა თავის გარდაცვალებამდე.

დანარჩენ ხანებს—თავრიზისას, ურმიისას, ხოისას, ნახჩევნისას და დანარჩენ პატარა მებატონეებს უმეტეს შემთხვევაში კარგი განწყობილება ჰქონდათ მეფე ირაკლისთან; პატივსა სცემდნენ რა მას პირად ვაჟკაცობას და გმირობას, ხშირად უგზავნიდნენ მას სამეფო საჩუქრებს და მის ქვეშევრდომებთან ჰქონდათ განუწყვეტელი ვაჭრობა და აღებ-მიცემობა.

ოსმალეთის მხრივ მახლობელ ფაშებთ შორის მეფესთან ყოველთვინ კარგ მეზობლურ განწყობილებაში იყო ყარსის ფაშა, თუმცა მის მეგობრულ კავშირს არავითარი პოლიტიკური ხასიათი არა ჰქონდა.

ახალ-ციხის ფაშა სულეიმანი ჩამომავლობით და გვარტომობით სამცხე-საათაბაგოს ქართველ მებატონე თავადთა-განია. თითქმის 150 წელიწადი იქნება რაც ეს ოლქი დაი-

პყრო ოსმალეთმა და ძალით მიაღებინა მას მაჰმადის სარწმუნოება, მაგრამ დღემდე მას საქართველოსთან მაინც განსაკუთრებული კავშირი და დამოკიდებულობა აქვს, თუმცა მათ შორის ფარული სიმძულვარეა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ქართველი მეფეები დღემდე აღიარებენ თავიანთ თავს სამცხე-საათაბაგოს ბატონებად და თავიანთ ტიტულშიაც იხსენებიან მის მემკვიდრე თავადებად. რუსეთის ოსმალოსთან ომის დასრულების შემდეგ 1774 წ. სულეიმან ფაშა უგზავნიდა ოსმალეთიდგან (პორტიდგან) მეფე ერეკლეს საჩუქრებს და ურჩევდა მისი მხარე დაეჭირა და ამასთანავე იმედს აძლევდა, რომ ოსმალეთსა და მის შორის დაამყარებდა მეგობრულ განწყობილებასა და კავშირს.

შენიშვნა: საქართველოს მეფეს შეუძლიან ყოველთვინ იქონიოს ოსმალეთის სამეფო კარის შესახებ ცნობანი იმ ბერებთაგან, რომელნიც იგზავნებიან იქ კინფიდერეტებად და წაყვანილ ქართველ ქალებთაგან.

იმერეთის მეფეს, განსვენებულ სოლომონს, ერეკლე მეფესთან ჰქონდა გამუდმებული გვარეულობითი შური და მტრობა; თუმცა თვალ-საჩინოთ იგინი რიგდებოდნენ თანხმად სარწმუნოებისა, განსაკუთრებით წმ. საიდუმლო ზიარების ერთად მიღების დროს, მაგრამ მათ გულში მაინც ისევ ბუდობდა ერთმანეთისადმი მძულვარება და შური და ერთიმეორის მონათესავე მტერს და მოქიშპეს უწევდნენ მფარველობას და ღებულობდნენ თავის სამეფოში, მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა საერთო უბედურობის და გაჭირვების დროს ეხმარებოდნენ ერთმანეთს და უწევდნენ ერთმანერთს შემწეობას.

საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის მიერ და საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსვლის მიერ გამოწვეული პოლიტიკური ცვლილება.

საქართველოს და რუსეთს შუა გიორგიევსკში დადებულ ხელ-შეკრულობის შემდეგ, რომლის (ხელ-შეკრულობის) ძალითაც საქართველო შედიოდა სრულიად რუსეთის იმპერატორის მფარველობის ქვეშ, შემოვიდნენ თუ არა ჩვენი ჯარები საქართველოში, შიშის ზარმა აიტანა ადერბიჯანის ყველა ხანები და მთლად მთელი სპარსეთი. თუმცა რუსეთი მათ კეთილ-განწყობილების იმედებს აძლევდა და მშვიდობას და მყუდროებას ჰპირდებოდა, რაიცა მათთვინ უფრო სახეირო იყო, მაგრამ მაინც შიში შეეპარათ თავიანთ უფლებისა და თავისუფლების დაკარგვაზე, რომელშიაც ბეჯითად არწმუნებდა ოტომანის (ოსმალეთის) მთავრობა; ეს უკანასკნელი სხვა-და-სხვა საშუალებებით, საჩუქრებით და ტყუილ ხმების გავრცელებით ცდილობდა აეჯანყებინა მეფე ერეკლეს წინააღმდეგ მუსულმანთ ერი და კიდევაც მიაღწია განზრახულ მიზანს. შუშის მფლობელმა იბრაგიმ-ხანმა დაუწყო მეფეს ყოველ-გვარად მტრობა, თუმცა ჯერედ ფარულად, მაგრამ ამის ნიშნები ცხადად სჩანან იმ გარემოებაში, რომ მისი ჩაგონებით განჯა გაუდგა მეფეს და აღარ ემორჩილებოდა მის ბრძანებას. ერევნის ახალგაზრდა ხანი, თუმცა ურჩობის და წინააღმდეგობის გამო, ნადირობის დროს მეფის ბრძანებით მოკლულ იქმნა ძმებითურთ და მის მაგიერ გამოცხადებულ იქმნა ხანად შვილი მისი, მეფის ერთგულის თფილისელის ქართველის ქალისაგან ნაყოლი, მცირე-წლოვანი ჰუსეინ-ხანი, მაგრამ იქ აჯანყება და არევ-დარევა სულეიმან ფაშის წყალობით მაინც დღემდე არ მოსპობილა და არც ხარკს აძლევენ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო და თვით ერევანიც მზათაა ახლა განუდგეს მეფეს. თვით მეფის ქვეშევრდომ თათრებმა ყაზახის, შამშადილოს და შამხორის მცხოვრებლებმა,

საუკეთესო მეომრებმა და შეძლებულებმა, დასტოვეს თავიანთი ნოყიერი და მდიდარი მინდორ-ველები და გარდასახლდნენ შუშის ხანის სამფლობელოში და დღეს მას ემსახურებიან მეფის წინააღმდეგ.

ოსმალეთის მთავრობამ, რაკი დარწმუნდა, რომ ადერბიჯანის ხანები ვერას გახდებოდნენ რუსეთის ჯარის წინაშე და ვერ გასდევნიდნენ მას უკან საქართველოდგან, მიმართა მტაცია და მხეც დაღესტანს. მან დაარწმუნა ავარიის უმან-ხანი, რომ იგი დიდ შემწეობას აღმოუჩენდა მას ახალ-ციხის მხრიდგან, თუ იგი შეჰკრეფდა მთიულთა ხალხებს და ომს გამოუცხადებდა საქართველოს მეფეს ერეკლეს. სულეიმან ფაშას მართლაც აზრად ჰქონდა უმან-ხანის შემოსევის დროს ახალ-ციხის მხრიდგან თავ-დაცემა და საქართველოს აოხრება. ამის გაგება ძნელი არ იყო, რადგან ჯერ ისევ იმ წლის გაზაფხულზედ ლეკებთან ერთად გაგზავნა 4000 კაცი ზემოქართლის დასარბევ-ასაოხრებლათ, რომელთაც თავიანთი მოულოდნელის თავ-დაცემით ააოხრეს ქართლი და 600 სული კაციც დაატყვევეს; მაგრამ უკან დაბრუნების დროს იგინი დამარცხებულ იქმნენ სურამში მდგომი ეგერთა კომანდისმიერ და ყველა ტყვენიც განთავისუფლებულნი; ერთის თვის შემდეგ მან გამოგზავნა 3000 რჩეული ვაჟკაცი ჩვენის ჯარის (ეგერების) დასასჯელად, მაგრამ იგინიც დამარცხებულ იქმნენ. ამავე დროს უმან-ხანი, შეკრიბა რა მთიულთა ხალხები 11.000 კაცამდე, მოვიდა მდ. ალაზანზედ და აქ შეუერთდა მთიულთა ხალხებს და ბელაქნელებს, საქართველოს დაუძინებელ მტრებს, ასე რომ მისი ძალა 20,000 კაცამდე ადიოდა. მეფემ ქართლიდგან ვერ გამოიწვია სალაშქროთ ხალხი, რადგან ეშინოდა ახალ-ციხის მხრიდგან სულეიმან-ფაშის თავ-დაცემისა; კახეთში იგი დაარწმუნეს მახლობელებმა, რომ ვიწრო ადგილებში არ შებრძოლებოდა იგი მტერსა. ყაზახელებს, შამშადინელებს და დანარჩენ თავის ქვეშევრდომ თათრებს იგი ვერ გამოიწვევდა სალაშქროთ, რადგან გაგებული

ჰქონდა მათი განზრახვანი და ამიტომ მე, როგორც რუსეთი ჯარის უფროსმა, ვერას გზით ვერ დავიყოლიე მეფე მოსულიყო ქიზიყში ჩვენის ჯარებით და მდ. ალაზანში გამოსვლის დროს დავცემოდით მტერს თავზედ, რადგან ეშინოდა დამარცხებისა და მასთან მთელის საქართველოს აოხრებისა. ომარ-ხანი 11,000 რჩეული ცხენოსნით გამოვიდა უვნებლად ალაზანში. მაგრამ ჩვენ ბატალიონთან შებმა კი ვერ გაბედა; მან სწრაფათ გაირბინა ღამით კახეთის ვაკე ადგილები და შევიდა ოსმალეთის საზღვრების ახლოს მდებარე მთიან ხეობაში (ბორჩალოს ხეობაში) და გზათ ააფეთქა ვერცხლის მადანი. მეფე ერეკლემ შეჰკრიბა რამდენიმე ჯარი და ჩვენი ბატალიონებით დაედევნა უკან, მაგრამ ომარ-ხანმა არ მოისურვა მასთან შებმა და პირდაპირ ახალ-ციხეში წავიდა. სულეიმან ფაშა ადგილიდგან არ დაძრულა, რადგან ოსმალეთის მთავრობიდგან მიიღო ბრძანება, რომ ჯერ-ჯეროობით მას ცხადლივ არ ემოქმედნა; ომარ-ხანს კი ერეკლე მალე შეურიგდა, რადგან ამას მოითხოვდა საქართველოს საქმეთა გარემოება.

ა. ტატუნაშვილი.

(შემდეგი იქნება)

საქართველოს გაერთიანების აზრი
მე-XVIII საუკუნეში (1789 წ.)

იმერთ მეფის სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზედ აღვიდა ბატონიშვილი დავით. ამ საქმემ ვერაფერი სასიხარულო გავლენა იქონია იმერთ დიდებულებზე და ერზე და აი დაიბადა აზრი ქართველებთან შეერთებისა, ერთ მეფობის დაარსებისა. ჰფიქრობდნენ მრავალნი, რომ დრო არის იმერნი ამერთ შევუერთდეთ და ერთ მეფობისათვის ვიზრუნოთო. ამათ მალე გადასწყვიტეს ამის შესახებ კითხვები და სამეგრელოს და გურიის მთავრებსაც მიმართეს, რომ მათაც გამოეცხადებინათ შეერთების სურვილი. მთავრებიც თანხმობას აცხადებდნენ და ყველა ერეკლე მეფეს ასახელებდა გაერთიანებულის საქართველოს მეფედ. მოხდა კრება იმერთ ერსა და დიდებულთ შორის, მოილაპარაკეს ქართლ-კახეთთან შეერთებისათვის, ითათბირეს, იფიქრეს ბ მერე გადასწყვიტეს ერეკლესთან კაცების გამოგზავნა და შეერთების თხოვნა. ამათ ამოარჩიეს შემდეგი პირები და გამოგზავნეს ერეკლე მეფის წინაშე დესპანებათ: ეპისკოპოსნი ევთიმე გენათელი, დოსითეოს ქუთათელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, პაატა მიქელაძე, სახლთ-უხუცესი ზურაბ წერეთელი, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, მწიგნობარი კაცი და თანამოაზრე პატრი ნიკოლასი—ქაიხოსრო ჩიჯავაძე და ფიცის კაცნი ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ყიფიანი, ავალიანი და სხვანი. ყველა ესენი დაფიცებულ იქმნენ ერთგულებაზე და 1789 წ. ჩამოვიდნენ კიდეც თბილისში მეფის ირაკლის კარზე. ესენი ითხოვდნენ შეერთებას მით

უფრო, რომ ეკლესიამ მეფეს დავითის გამეფება არ ესიამოვნებოდა.

წარსდგნენ რა მეფის წინაშე, ქუთათელმა და გენათელმა მოახსენეს შემდეგი:

— დიდებულო მეფეო! რადგანაც თქვენ არ გესიამოვნათ იმერეთში დავითის გამეფება და იგი ტახტის მიმტაცებელათ აღიარეთ და იმერთა ერიც ასევე ჰხადის მას, ამიტომ მოვმართავთ თქვენს დიდებულებას და ვითხოვთ შეერთებას და ერთ-მეფობას და ერთ-მთავრობას. მთელი იმერეთის ერი მუხლ დადგმით და ერთგულის ფიცით გიცხადებენ, გთხოვენ და გემუდარებიან, რომ ინებოთ იმერეთი და შეიერთოთ, თხოვნა ერთობისა სასიხარულოთ მიიღოთ. როგორც იმერეთის ერს, ასევე სურთ გურულთა და ოდიშერთა. ჩვენ მიმოვლეთ მთელი იმერეთი, ყველას ფიცი და სიტყვა ვსთხოვეთ, ყველამ სიამოვნებით მიიღეს. დადიანი და გურიელი ნატვრას აცხადებენ. მთელს ერს სწყურის ერთობა, ერთი მთავრობა და ერთი მეფე ისევე, როგორც ძველათ ვყოფილვართ. მღვდელ-მთავარნი ამისთვის ეკკლესიაში პარაკლისებს იხდიან, ლოცვენ ერის კეთილს აზრს და იმედოვნებენ შეერთების სისრულეში მოყვანას. ეს საქმე და ამბები გლეხებმაც იციან და მათ დიდ სასიხარულოთ მიაჩნიათ ქართლ-კახეთთან შემოერთება, თქვენი მეფობა და სახელი. ჩვენი შეუერთებლობა არ შეიძლება, რადგანაც მრავალთა წელთა გამოცდილებამ გვაჩვენა და გვასწავა ძალი ერთობისა, ძალი ერთ-მთავრობისა და ერთ-მეფობისა. ოდესაც ვიყავით ერთნი, ვიყავით ძლიერნი სულითა, მკლავითა, სიმდიდრითა, ოსტატობითა და ხალხითა, როცა დავკნინდით და დავირღვენით, მაშინ დავეცით მთლათ და დავიქცენით, აწ უფრო უარესად დავიქცევით, თუ არ ვიზრუნეთ ერთობისთვის, ქვეყნისთვის, ერთ-მეფობისთვის და ერთ-მთავრობისთვის.

ამათ შემდეგ სარდალმა ალექსანდრე წერეთელმა მოახსენა:

— დიდებულო მეფეო, იმერეთი ძღვნათ სწირავს თავსა თვისსა თქვენს დიდებულების წინაშე, შეგვიერთეთ და განვ-ძლიერდეთ მით, წელიწადი ორ საყოფელ დროთ გახადეთ, ხან ტფილისს ბრძანდებოდეთ და ხან ქუთაისს—იმერეთს. შერიცხეთ ქვეყანა ჩვენი თქვენს ქვეყანად, ერი თქვენს ერად, თავი ჩვენი თქვენს მსხვერპლად და ყოველივე თქვენს წილ კერძად, თქვენს საკუთრებად და ზვარაკად. მთელი იმერეთის ერი სიხარულით და ნეტარებით მოელის ამ საქმის შესრულებას და მუდამ დღე ელიან პასუხის შეტყობას.

ბევრი კიდევ სხვა კითხვები მოახსენეს დესპანებმა მეფეს და არწმუნებდნენ ერთობის სარგებლობას და საჭიროებას, მაგრამ მეფემ პასუხი არ მისცა. მოახსენა, რომ სამეფო კრებას დავნიშნავ, თხოვნას განვიხილავთ და პასუხს მოგცემთო.

მართლაც მალე დანიშნეს სამეფო კრება, შეიკრიბნენ სამეფო პალატში კათალიკოზი, მღვდელ-მთავარნი, თავადნი, სარდალნი, სახლთუხუცესნი, მდივან-ბეგნი. აქვე წარსდგნენ იმერთ დიდებულნი და განიმეორეს იმერეთის ერის თხოვნა. მოხსენების შემდეგ დაიწყეს საუბარი და სჯა. დიდებულთ კრება ორათ გაიყო. ერთნი ითხოვდნენ ერთობასა, უმეტეს კახეთის თავადიშვილები და მეორენი კი არღვევდნენ შეერთების აზრს, უმეტეს ქართლის თავადობა... მეფე განმარტოებულ იქმნა და დიდებულთაგან ელოდა პასუხს და განჩინებას. დიდებულთ შორის ამბოხება მოხდა. ერთობას დაუყოვნებლივ ითხოვდნენ ჭაბუა ორბელიანი, დუცალ ბარათაშვილი, სოლომონ მსაჯული, პატრი ნიკოლა, დოსითეოს ნეკრესელი და სხვანი. უკანასკნელ ჭაბუა ორბელიანს მიემხრნენ თვით საქართველოს პატრიარქ-კათალიკოზიც, ზაქარია ანდრონიკაშვილი, სარიდან ჩოლაყაშვილი, იოსებ ბარათაშვილი და სხვანი. ამათ შექმნეს საუბარი და თხოვნა ერთობისა და იმერთა დიდებულების თხოვნის შეწყნარება. მეფემ სდუმნა. ამ დროს ბრძენი ჭაბუა წარსდგა წინაშე მეფისა,

უფრო, რომ ერეკლე მეფეს დავითის გამეფება არ ესიამოვნებოდა.

წარსდგნენ რა მეფის წინაშე, ქუთათელმა და გენათელმა მოახსენეს შემდეგი:

— დიდებულო მეფეო! რადგანაც თქვენ არ გესიამოვნათ იმერეთში დავითის გამეფება და იგი ტახტის მიმტაცებელათ აღიარეთ და იმერთა ერიც ასევე ჰხადის მას, ამიტომ მოვმართავთ თქვენს დიდებულებას და ვითხოვთ შეერთებას და ერთ-მეფობას და ერთ-მთავრობას. მთელი იმერეთის ერი მუხლ დადგმით და ერთგულის ფიცით გიცხადებენ, გთხოვენ და გემუდარებიან, რომ ინებოთ იმერეთი და შეიერთოთ, თხოვნა ერთობისა სასიხარულოთ მიიღოთ. როგორც იმერეთის ერს, ასევე სურთ გურულთა და ოდიშერთა. ჩვენ მიმოვლეთ მთელი იმერეთი, ყველას ფიცი და სიტყვა ვსთხოვეთ, ყველამ სიამოვნებით მიიღეს. დადიანი და გურიელი ნატვრას აცხადებენ. მთელს ერს სწყურის ერთობა, ერთი მთავრობა და ერთი მეფე ისევე, როგორც ძველათ ვყოფილვართ. მღვდელ-მთავარნი ამისთვის ეკკლესიაში პარაკლისებს იხდიან, ლოცვენ ერის კეთილს აზრს და იმედოვნებენ შეერთების სისრულეში მოყვანას. ეს საქმე და ამბები გლეხებმაც იციან და მათ დიდ სასიხარულოთ მიაჩნიათ ქართლ-კახეთთან შემოერთება, თქვენი მეფობა და სახელი. ჩვენი შეუერთებლობა არ შეიძლება, რადგანაც მრავალთა წელთა გამოცდილებამ გვაჩვენა და გვასწავა ძალი ერთობისა, ძალი ერთ-მთავრობისა და ერთ-მეფობისა. ოდესაც ვიყავით ერთნი, ვიყავით ძლიერნი სულითა, მკლავითა, სიმდიდრითა, ოსტატობითა და ხალხითა, როცა დავკნინდით და დავირღვენით, მაშინ დავეცით მთლათ და დავიქცენით, აწ უფრო უარესად დავიქცევით, თუ არ ვიზრუნეთ ერთობისთვის, ქვეყნისთვის, ერთ-მეფობისთვის და ერთ-მთავრობისთვის.

ამათ შემდეგ სარდალმა ალექსანდრე წერეთელმა მოახსენა:

— დიდებულო მეფეო, იმერეთი ძღვნათ სწირავს თავსა თვისსა თქვენს დიდებულების წინაშე, შეგვიერთეთ და განვ-ძლიერდეთ მით, წელიწადი ორ საყოფელ დროთ გახადეთ, ხან ტფილისს ბრძანდებოდეთ და ხან ქუთაისს—იმერეთს. შერიცხეთ ქვეყანა ჩვენი თქვენს ქვეყანად, ერი თქვენს ერად, თავი ჩვენი თქვენს მსხვერპლად და ყოველივე თქვენს წილ კერძად, თქვენს საკუთრებად და ზვარაკად. მთელი იმერეთის ერი სიხარულით და ნეტარებით მოელის ამ საქმის შესრულებას და მუდამ დღე ელიან პასუხის შეტყობას.

ბევრი კიდევ სხვა კითხვები მოახსენეს დესპანებმა მეფეს და არწმუნებდნენ ერთობის სარგებლობას და საჭიროებას, მაგრამ მეფემ პასუხი არ მისცა. მოახსენა, რომ სამეფო კრებას დავნიშნავ, თხოვნას განვიხილავთ და პასუხს მოგცემთო.

მართლაც მალე დანიშნეს სამეფო კრება, შეიკრიბნენ სამეფო პალატში კათალიკოზი, მღვდელ-მთავარნი, თავადნი, სარდალნი, სახლთუხუცესნი, მდივან-ბეგნი. აქვე წარსდგნენ იმერთ დიდებულნი და განიმეორეს იმერეთის ერის თხოვნა. მოხსენების შემდეგ დაიწყეს საუბარი და სჯა. დიდებულთ კრება ორათ გაიყო. ერთნი ითხოვდნენ ერთობასა, უმეტეს კახეთის თავადიშვილები და მეორენი კი არღვევდნენ შეერთების აზრს, უმეტეს ქართლის თავადობა... მეფე განმარტოებულ იქმნა და დიდებულთაგან ელოდა პასუხს და განჩინებას. დიდებულთ შორის ამბოხება მოხდა. ერთობას დაუყოვნებლივ ითხოვდნენ ჭაბუა ორბელიანი, დუცალ ბარათაშვილი, სოლომონ მსაჯული, პატრი ნიკოლა, დოსითეოს ნეკრესელი და სხვანი. უკანასკნელ ჭაბუა ორბელიანს მიემხრნენ თვით საქართველოს პატრიარქ-კათალიკოზიც, ზაქარია ანდრონიკაშვილი, სარიდან ჩოლაყაშვილი, იოსებ ბარათაშვილი და სხვანი. ამათ შექმნეს საუბარი და თხოვნა ერთობისა და იმერთა დიდებულების თხოვნის შეწყნარება. მეფემ სდუმნა. ამ დროს ბრძენი ჭაბუა წარსდგა წინაშე მეფისა,

აღიმაღლა ხმა ქუხილის მსგავსად და მოახსენა მეფეს და ერს სიტყვა ერთობისათვის ასე:

— მეფეო და დიდებულნო! ქართველთა ერთობას ღმერთს ავედრებენ მრავალნი, ამის ვედრებაში არიან თვით ჩვენთა მამათა და პაპათა ძვალნი, ქართველთა ერთობას ცხარეს ცრემლით ავედრებენ ღვთის-მშობელს და ქართველთა წმიდათა დედანი წმიდა ნინო, ქეთევანი და სხვანი, ქართველთა ერთობას ითხოვენ ის დიდებულნი მეფენი ქართველთა, რომელნიც ოდესმე საქართველოს ერთობისთვის დახოცილან, რომელთაც ერთობით აღუდგენიათ დიდება და სახელოვნება ქართველთა, რომელნიც საქართველოს ერთობისთვის წამებულან. აწ ღმერთს შეუწყნარებია ასეთ პირთა მუდარება, მაღალ ღმერთს კურთხევის თვალით გადმოუხედნია ჩვენზე და იმერთა ერისთვის თავში ჩაუსმენია და ჩაუნერგავს აზრი ერთობისა და სიყვარულისა. იმერთა აზრი არის ბრძნული და დარბაისული, საქები მრავალთაგან, კურთხეული ღვთისაგან, მოსაწონი ყოველთვის და ყველასაგან, სასარგებლო ქვეყნისთვის, ერისთვის და მერმისის ჩვენის ცხოვრებისთვისაც. ნუ ჰყოვნებ და სჭმუნავ მეფეო, ბრძენთა და დიდებულთ უთქვამთ, რომ მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვისო. იმერეთის პატივცემულნი მღვდელ-მთავარნი თქვენს წინაშე ლოცვა-კურთხევით სდგანან, ერი იყრის მუხლს და ითხოვენ ერთობას, ერთ-მეფობას და დაკავშირებას. მეფე როგორ გაბედავს და იტყვის დაკავშირების უარს, ერთობის უარს, ერთ-მთავრობის და ერთ-მეფობის! რა გვარ და რაფერ არ მიიღებს მადლით სავსე თხოვნას, ბრძნულს აზრს, ძმურს თხოვნას ძმობისთვის...

მეფე მჭმუნვარებდა და უთანხმობის ნიშნებს აჩენდა. ჰაბუამ განაგრძო:

— თქვენი აზრები კარგათ ვიცი და მესმის, მეფეო! მაგრამ თქვენ არ შეგეფერებათ ეგეთი მოსაზრება; ეგეთი დუმილი და ზრახვა ქვეყნისთვის გვირგვინოსანს არ ეკადრება.

ეგ დუმილი არ არის ქვეყნისთვის სასარგებლო; ეგ იქმნება დამღუპავი იმერთა, დამღუპავი ქართველთა, ნუ ჰყოვნებთ, ბძანეთ სიტყვა: ვერ ბედავთ თუ ვითარ მოუღო ტახტი იმერთა მეფობისა? როგორ მოუღეთ ბოლო ქართლის მეფობას, ქართლის დიდებულთა და მეფეთა, რა დაკარგა საქართველომ ამითი და რა იზარალა? როგორ მოუღეთ ბოლო მეამბოხე არაგვის ერისთავთა, მეამბოხე ქსნის ერისთავებს და სხვებსაც მრავალთა?! ქვეყნისა და ერის ბედნიერება ითხოვს ერთობას, ერთ-მეფობას, სიყვარულს და დაკავშირებას...

მეფემ უარი განაცხადა, რადგანაც წინა დღით დარეჯან დედოფალს ეცდუნებინა მეფე. ახლა წარსდგა ალექსანდრე წერეთელი და მოახსენა:

— დიდებულო მეფეო, იმერეთის ერი დიდი და მცირე გრძნობენ ერთობის საჭიროებას, ერთ-მეფობას და ამიტომ ითხოვენ ერთობასა. ჩვენ, მოსულნი თქვენს წინაშე, ვითხოვთ ერთობის შეწყნარებასა, თუ არ ისურვებთ ერთობას, მაშინ თქვენი შვილი იულონი მაინც გვიბოძეთ, რომ იმერეთის ტახტზედ მეფეთ დავსვათ. ამით ხომ არაფერი დაშავდება, ნახეთ ერთობის ძალა, მიიღეთ ჩვენი გვირგვინი და ტახტი, განძლიერდით ჩვენით და განგვაძლიერეთ თქვენით. გარწმუნებთ, მეფეო, რომ ოდესაც გვექმნება ერთობა, მაშინ მტერი ვერას დაგვაკლებს, მაშინ ჩვენს ქვეყანას უვნებლათ მოვუვლით. ერთობა ამერ-იმერთა სასიამოვნოა დედოფლისთვის, თვით დედოფალმა მოგვცა ამის დასტური, თვით მან ბრძანა იმერთ შეერთების სურვილი, უკეთუ იულონს ინებებთ მეფეთ და მოსცემთ მეფობასაო.

მეფემ პასუხი ვერ მისცა. გაოცდა მასზე, როცა ამათ დედოფლის თანხმობაც განუცხადეს, რადგანაც დედოფალი ერეკლეს წინაშე მკაცრი წინააღმდეგი იყო ერთობისა, ჩემს სამშობლოს ოჯახს როგორ შეიძლება, რომ ტახტი წაერთვას და გამოეწიროსო. როგორ შეიძლება ესაო, მე ამის ნებას არ მოგცემთო. იმერეთის დესპანებმა დედოფლის აზრი შეიტყეს,

შეიტყეს, რომ იგი შეერთების წინააღმდეგი იყო, დესპანნი წავიდნენ და კერძოთ დედოფალს ავედრეს და ამუდარეს სიტყვა ერთობისათვის. დედოფალმა ნება მისცა და განაცხადა ერთობის სურვილი, უკეთუ მეფეთ ჩემს ნაშობს იულონს მიიღებთ და არა ჩემს გერსა და მის შვილებსაო. დესპანთ თანხმობა განუცხადეს, ოღონდ ერთობა მოხდეს და იულონი იქმნეს მეფეთაო. მაგრამ საუბედუროთ ეს არ იქმნა ქართველთაგან შეწყნარებული, მეფეთ ითხოვდნენ გიორგის, ან მის შვილს და ერთ რიგისა და სამეფო წესისამებრ გამგეობას და მეფობას. მეფე ერეკლე საშინელს მდგომარეობაში ჩავარდა, არ იცოდა საქმისთვის რაფერ მოევლო და ეპატრონებინა, რა პასუხი მიეცა იმერთათვის.

ამ დროს წარსდგა იოანე მუხრან-ბატონი და მოახსენა მეფესა და კრებულს:

— იმერეთის შეერთება ჩვენთვის ერთობ ძნელი საქმეა, ოდესმე თუმც გვქონია ერთობა, მაშინ ძალიც გვქონია ამისთვის. დღეს უძლურნი ვართ. ჩვენ ქართველებს ვერ მოგვივლია თვით ჩვენის ქართელისთვის, ჩვენის თავისთვის ვერ გვიპატრონებია, როგორ მოვუაროთ იმერეთს, როდესაც მას თავისი პატრონი მეფე და მეფის ნათესავნი ჰყავთ, რათ წავართვათ ტახტი სოლომონის ნათესავთა, ოდიშის და გურიის მთავრებსა. ჩვენ ჩვენი ქვეყანა გვაქვს და ჩვენ ჩვენსას უნდა მოვუაროთ. ამას მიემხრნენ მრავალნი ქართლის თავადნი და ამტკიცებდნენ ერთობის უარყოფას. ამან განარისხა დავით სარდალი დემურაშვილი, ეს წარსდგა წინაშე კრებისა და მეფეს მოახსენა განრისხებით: — მართალს ბრძანებს იოანე მუხრან-ბატონი, რომ ჩვენ ვერ მოვუვლით ქვეყანასაო, ერთობას ვერ ვიტვირთებთო. ჭეშმარიტად რომ იგი ვერ მოუვლის თავის ხმლით ქვეყანასა და მაგის ზრახვანი ვერ აიტანენ ქვეყნის ერთობას. მაგრამ მოგახსენებთ, მეფეო, რომ ყოველთვის ხომ იოანე მუხრან-ბატონი არ იქნება და მისნი თანამოაზრენი! მუხრან-ბატონი დღეს თუ ვერ მოუვლის ქვეყა-

ნას თავის ხმლითა და მათრახით, მოვა დრო, მოვლენ სხვა მუხრან-ბატონები და ისინი შეიწყნარებენ და შეითვისებენ ერთობის აზრსა. მე ვითხოვ პირველისამებრ სიტყვასა ერთობისას და არ შეწყნარებას იოანე მუხრან-ბატონის სიტყვისასა. დავითი აღელვებულ იქმნა ამაზე. დავითს შეუდგა ჭაბუა და მოახსენა:

— ერთობა ქარვთელთა არის ძალა ქართველთა. მეფეთ დასმულ უნდა იქმნეს კანონიერი მემკვიდრე ტახტისა, რათა ამბოხი არ დაიბადოს და მერმისთვის აღრევა არ იქმნეს ტახტის მოცილეთა ბატონიშვილთა, და ერთხელა და სამუდამოთ განწესდეს წესი და რიგი მეფის მემკვიდრეთა მეფეთ დასმასა და კურთხევასა, ისევე, რორგორც ძველათ ყოფილა ეს.

მეფემ არაფერი სთქვა და კრება დაიშალა. კრების შემდეგ დარეჯან დედოფალმა დაიბარა ჭაბუა ორბელიანი და განრისხებით სტუქსა იგი და დავით სარდალი: თქვენ გიორგი მეფეს ემხრობით, ეგ მის ცთუნებით ხდებაო, დავით სარდალი მუხრან-ბატონის მტრობას და შურლს სწევსო, მე ვერ მოვითმენ ამასაო. ჭაბუამ მიუგო დედოფალს:

ბატონო დედოფალო, ქვეყნის და ერთობის ორგულათ მე ვერ შევიქნები. თქვენ რაც გენებოთ ის ბრძანეთ, მეველარეთ, მაგრამ მე მაინც ჩემს უცვალებელს ჰაზრზე ვიქნები სიმტკიცით, რადგანაც აზრი ჩემი არის სასარგებლო ქვეყნისათვის, ერთობისათვის და ერთ-მეფობისათვის. ერთობამ განგვაძლიერა და ერთობავე უნდა გვქონდეს. თქვენ რაც გენებოთ ის ბრძანეთ და მე კი ვერ გავხდები ორგული ჩემის ქვეყნის, მეფობის და ერთობის. ჩემი აზრები უცვალებლათ და მტკიცეთ დარჩება ჩემს სიცოცხლეში, მე ყოველთვის ერთობის და ერთ-მეფობის მთხოვნელი ვიქნები და ეს თუ ვერ მოხერხდება, მე მაინც ჩემს აზრებს არ შევიცვლი, მოვკდები და ერთობის აზრს საფლავში ჩავიტან და არ კი შევიცვლი. რათ ბრძანებთ, რათ მავალებთ და მაფიცებთ, რომ

მეფის მტერი ვიქმნე, ქვეყნის ორგული, ერთობის არა მოსურნე... დედოფალო, დარღვეულმა ცხოვრებამ დაარღვია ერი და ქვეყანა, მე კარგად ვხედავ დარღვეულის ცხოვრების ნაყოფს, მე ვერ ვიტვირთებ თქვენს დავალებას, მე ვარ მრჩეველი მეფისა და ერისა, მრჩეველი ერთობისა, მერქვას ამის სახელი და ვიქმნე მრავალთაგან არ შეწყნარებული!?. მაგრამ მე ვერ ვიზამ საეშმაკო საქმეს, ბოროტის კაცის მსგავსად ქვეყნის მტერობას და ორგულობას ვერ გავწევ. ქართველებს აუარებელი სისხლი უღვრიათ ქვეყნისა და ერთობისათვის და მეც როგორც ერთგული მეფისა და ქვეყნისა ვითხოვ ერთობას და ერთ-მეფობას. გაბედვით და უშიშრათ მოგახსენებთ, დედოფალო, რომ მე არ მოგცემთ ამის ნებას, რომ თქვენ ერთობა მხოლოდ იულონის გამეფებით მოინდომოთ. ეს არ შეიძლება. ესეთი საქციელი კვალათ დაბადავს ამბოხს მთავართა და ერთა შორის. მეფედ ცნობილ უნდა იქმნეს მემკვიდრე ტახტისა და მფლობელი პატრონი მეფობისა მეუფროსობით...

დარეჯან დედოფალი სასტიკათ განარისხა ჭაბუას სიტყვამ. ყველაფერი თავის გერს გიორგი მეფეს მიაწერა. დედოფალთან მივიდნენ ქუთათელი, გენათელი და სხვა სამღვდელონი და ეუბნებოდნენ კრძალულებით ერთობის მნიშვნელობას და ერთობის მიღებას, თორემ შემდეგში იმერთა ტახტიც დაიმსხვრევა და თქვენის გვარის დადიანის ოჯახიცაო. დოსითეოს ნეკრესელმა მაღალის ხმით ამცნია ერთობის მნიშვნელობა და მემკვიდრის გამეფება, თუმც ისიც მოახსენა, რომ გიორგი არა არს ღირსი მეფობისა, უმჯობეს იქმნება, რომ მის შვილს დავითს მიეცეს იმერეთის ტახტიო და ერეკლეს შემდეგაც იგი გამეფდეს ქართლ-კახეთის ტახტზე და ამ სახით შეერთდეს საქართველოვ.

დედოფალს მაინც ვერ შეაცვლევინეს უგვანი აზრი, იგი მკაცრი წინააღმდეგი იყო ერთობის. ის ამბობდა: იმერეთის და სამეგრელოს ტახტი მოიშალოს და შეერთებულ იქმნეს

მაშინ, თუ მეფედ იულონი იქნებაო. წინააღმდეგ შემთხვევაში წინააღმდეგი ვიქმნები მეო.

შემდეგ ამისა იქმნა კრება და რჩევა. ჭაბუა ორბელიანმა აღიმაღლა ხმა და მოახსენა მეფეს:

— მეფეო და დიდებულნო, შეერთება კართლ-კახეთ-იმერეთისა არს სიმტკიცე და ძალი ქვეყანისა. განგიმეორებთ, რომ ჩვენი ქვეყანა დაეცა იმ დროს, როცა ერთობა დაგვერღვა. თუ გვსურს, რომ დავიფაროთ ქვეყანა და მეფობა ჩვენი, უთუოდ უნდა მოხდეს ერთობა და ერთ-მეფობა. თუ წინააღმდეგი ხართ მეფობისა და ქვეყნისა, მაშინ ჰყავთ ასე. მაგრამ მოგახსენებთ, რომ მერმისისთვის არც ის ვიქნებით ჩვენ, რაც დღესა ვართ. დღევანდელი ცხოვრებაც მოგვეშლება, ჩვენი სამეფოც განსქდება ნაწილ-ნაწილად, ჩვენც დავკნინდებით და მოვიშლებით ყოვლისფრით, ჩვენი ქვეყანა სხვისი კერძი გახდება, ქართველნი სხვის ხელში შთავარდებიან და ბოლოს მოესპობათ ყოველისფერი, სჯული, ენა, მწიგნობრობა და მამა-პაპათა ზნე-ჩვეულებანი... გიორგი მეფეც თანხმა იყო ჭაბუასი და აქებდა იმის აზრს. გიორგის უთქვამს ვითომც:

— ერთობაზე უკეთესი და მშვენიერი რა უნდა იყოს. ძმათა ერთობას მოციქულნიც ქადაგებენ. დავით წინასწარმეტყველი იტყვის: სამეფო ისრაელთა მაშინ დაეცა, როდესაც იგი განსქდა ორადა, საბერძნეთი დაეცა მაშინ, როცა გაიყო ორ-სამ სამეფოდ.

ჭაბუა კვალად ავედრებს მეფეს ერთობის პასუხის მიცემას, დესპანნი ამხნევებდნენ ერთობის მსურველთ და მზრუნველთ და აჩქარებდნენ პასუხს, მაგრამ მეფე ერეკლე ჭმუნვარებაში ჩავარდა, ერთობა ჯერ არ მომხდარა და ერთობისთვის განხეთქილება ჩამოვარდაო, ამიტომ ვერ ვიტვირთებ იმერთ ტახტს, ვერ შევიერთებ იმერთ, რომ მის მეოხებით უარესი მტრობა არ ჩამოვარდესო. მოკლეთ, უარ-ჰყო მეფე ერეკლემ ერთობის თხოვნა და დესპანნი გულ-დაწყვეტილნი

და მწუხარენი გაისტუმრა იმერეთს. დააბარა ამათ, რომ მე მალე ჯარს გამოვგზავნი და იმერეთში სოლომონ მე-II-ეს გავამეფებო. მალე ქართლიდამ ჯარი გაგზავნეს იმერეთში, ჯარს თან გაჰყვა იოანე მუხრან-ბატონი, ზაქარია ანდრონიკაშვილი, მეფის ძე იულონ და მრავალი სხვანი. დავით ბატონიშვილი ჩამოაგდეს ტახტიდამ და სოლომონ მე-II-რე გააამეფეს იმერეთის ტახტზედ. ამ ცვლილების შემდეგ დავითი დაპატიმრებულ იქმნა. შემდეგ რუსებსაც მოესწრო და გარდაიცვალა 1820 წლებში.

ასე და ამ გვარათ დაბოლოვდა ერის დიდებული განძრახვა და წადილი. ჭაბუა ორბელიანის სიტყვა დარჩა სიტყვათ ქართველთა ერთობისა და ამან ეს სიტყვა სხვებს დაუტოვა ანდერძად და შვილის-შვილთადმი გარდასაცემად, რომ ვიდრე ქართველებს ერთობა არ ექმნებათ, მინამდის მათი მეფობა ვერ იხარებსო. მეფის ერეკლესთვის ვიტყვით ჩვენ, რომ მოხუცი მეფე ვერ მოიქცა კანონიერათ, ვერ აღასრულა ერის თხოვნა ერთობისთვის, ვერ მოიქცა დროის შესაფერათ, ასპინძს და სხვაგან ათი-ათასობით აწყვეტდა ქართველთ და იმერეთის შეერთებაში კი ვერ გამოიჩინა მხნეობა და ნიჭი, მან ვერ იგრძნო ერთობის მნიშვნელობა, ერთობის ძალა, არ შეისმინა დიდებული რჩევა მრავალთა და ნამეტურ ჭაბუასი, აჰყვა დედოფალსა და მხოლოდ ნათესავურის პატივის-ცემის გამო უარ-ჰყო თხოვნა იმერთა ერისა.

ზ. ჯ.

მოკლე ისტორია სომხეთისა

(სენ-მარტენისა, ფრანგულიდან).

(შემდეგი *).

გარდაიცვალა თუ არა ალექსანდე მაკედონელი, მისის ძლიერის ხელით აზიის პროვინციები რამდენიმე წელიწადს ერთმანეთთან მჭიდროდ შეკავშირებულნი ერთის მბრძანებელის ხელში, საჩქაროდ ჩამოშორდნენ ერთმანეთსა. სომხეთი ერგო მიტრინეს, ტომით სპარსელს. ეს მიტრინესი თითონ ალექსანდრე მაკეოონელმა დანიშნა სომხეთის მმართველად. ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ კი იმისივე უკანონო მემკვიდრეების სახელით მართავდა ამ ქვეყანას. მაგრამ მას მალე ჩამოერთვა მმართველობა და განწესდა ნეოპტოლემი ანფრატერნესი, რომელიც მოჰკლა ომში კაპპადოკიის მმართველმა ევმენესმა. ამასობაში ალექსანდრეს სარდლებთა შორის, რომელთაც განაწილებული ჰქონდათ მაკედონიის ვრცელი იმპერია, ჩამოვარდა საშინელი განხეთქილება. ისინი უმოწყალოდ ჰგლეჯდენ ერთმანეთს ხელიდგან ალექსანდრეს საბრძანებელის ნაფლეთებს. სომხებმა ისარგებლეს სარდლების უთანხმოებით, შემუსრეს მათი უღელი და ამოირჩიეს მეფეთ ვინმე არდოტი. არდოტი გარეგნობით დიდი მორჩილი იყო სელევკიდების მეფეებისა, ნამდვილად კი ის იყო სრულიად დამოუკიდებელი მეფე სომხებისა. არდოტის შემდეგ სომხეთი ჩაიგდეს ხელში სირიის მეფეებმა, რომლებიც ნიშნავდნენ აქ თვისს მოად-

---

*) იხ. „მოკზაური“ 1901 წ. № 10.

გილეებს, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთი მმართველთაგანი, ტომით სომეხი, არტაქსისი, აეშალა თვისს ხელმწიფეს ანტიოქს და დაამარცხა იგი რომაელების შემწეობით. ამ სახით არტაქსისი გახდა დამოუკიდებელი მეფე სომხეთისა. ჰანნიბალი, იმ დრომდის ანტიოქთან შეხიზნული, იძულებული შეიქმნა შეჰფარებოდა სომხეთის მეფეს არტაქსისს, რომელმაც დიდის პატივით მიიღო იგი. ჰანნიბალმა ცოტა ხანი დაჰყო ამ მეფის სასახლეში. ჰანნიბალის რჩევით ააგო არტაქსისმა ქალაქი და უწოდა სახელად არტაქსისი, რომელიც ბოლოს სომხეთის სატახტო ქალაქად გახდა. არტაქსისს აჯანყებაში მალე გამოუჩნდა მიმბაძველი. პირველად წაჰბაძა მცირე სომხეთის მმართველმა ზადრიადესმა ანუ თარიადესმა. ამის შემდეგ სომხეთში სელევკიდთა უფლების აღდგენას აღარაფერი ეშველა. ანტიოქმა ბევრჯელ გაილაშქრა არტაქსისზედ, მაგრამ სულ ფუჭად: ის ყოველთვის დაზარალებული და დიდად დამარცხებული ბრუნდებოდა უკან. არტაქსისმა სიკვდილამდის იმეფა და სამეფო გადასცა თვისს მემკვიდრეებს. არტაქსის მემკვიდრეებმა, როგორც სჩანს, დიდხანს ვერ შეირჩინეს მეფობა. ძლიერ მალე ამის შემდეგ სომხეთი დაიპყრეს არშაკიდებმა და სომხეთის ტახტზე დასვეს თავისი მეგვარე.

ყველა ეს ფაქტები, რომელნიც ჩვენ მოვიყვანეთ შესახებ სომხეთის ისტორიისა ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალებიდგან დაწყებული, გამოვკრიბეთ ბერძენთ მწერალთა ნაწერებიდგან. სომეხთ მეისტორიეთა შორის მე არ მეგულვება იგეთი, რომელიც მოგვითხრობდეს, თუ რა მოხდა სომხეთში ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ, ვიდრე სომხეთის ტახტზე არშაკიდების გვარი დამყარდებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ არც გამოჩნდება სომხეთის ისტორიკოსებში ისეთი პირი, რომელსაც შეეძლოს ცოტათი მაინც ნათელი მოჰფინოს იმ დაშორებულ დროის ამბებს, ვინაიდგან მეხუთე საუკუნიდგან ქრისტეს აქეთ ძლიერ ცოტა ისტორიული ცნო-

ბები დაცულან მათ შესახებ. მოსე ხორენელი, რომელმაც მეხუთე საუკუნეში დასწერა თვისი სამშობლოს ისტორია, და დიდი მცოდნე იყო სომხეთის ძველის ისტორიისა, ბ̆ხოლოდ ამას გვიამბობს: „არშაკმა შობა ბაკანი, ბაკანს ჰყავდა ვანი, უკანასკნელს მიეცა ვაჩე, რომელმაც ალექსანდრე მაკედონელს შეაკლა თავი ჩხუბში“. თუ რა მოხდა სომხეთში ამის შემდეგ ვაღარშაკის გამეფებამდის ძნელი სათქმელია. ყველაფერი აირ-დაირია. გაიმართა სასტიკი ბრძოლა იმის შესახებ, თუ ვინ გაბატონებულიყო ამ ქვეყანაში. სწორედ ამ დროს ძლიერ ადვილად შემოდის სომხეთში არზას დიდი და ამწესებს სომხეთის მეფედ თავისს ძმას ვაღარშაკს. ამასვე მოგვითხრობს კათალიკოსი იოანე, თითქმის იმავე სიტყვებით თვისს სომხეთის ისტორიაში, რომელიც მეათე საუკუნის დამდეგსაა დაწერილი.

როგორც გვარწმუნებს უმეტესი ნაწილი სომხეთის მეისტორიეთა, ჰაოსის სამეფოს დასაბამიდგან არშაკიდების გვარის სომხეთის ტახტზე დამყარებამდის გასულა 1985 წელიწადი, ან როგორც იოანე კათალიკოსი ჰფიქრობს —2295 წელი.

ჯერ კიდევ 70 წელი არ გასულიყო ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ, რომ ბერძნების ხელმწიფებამ ზემო აზიაში შესამჩნევად იწყო მოუძლურება. ალექსანდრეს სარდლებთა შორის ჩამოვარდა დიდი შინაური უთანხმოება, რომლის მიზეზი მათი უზომო პატივმოყვარეობა იყო. ამ გარემოებამ დამონებულ ხალხებს განუღვიძა აზრი და წადილი უცხო მტარვალების უღელი შეემუსრათ და უწინდელი თავისუფლება მოეპოვათ. არშაკმა ანუ არზასმა, კაცმა გულადმა და შემკულმა დიდის ღირსებით, ტომით პართმა, ისარგებლა ამ საზოგადო სურვილით და აღმართა დაუყოვნებლივ ბაქტრიაში სელევკიდების წინააღმდეგ ამბოხების დროშა. მეამბოხეთა დასამშვიდებლად სელევკიდებმა გაგზავნეს მრავალ რიცხვოვანი ჯარი, მაგრამ ყველაფერი ფუჭი გამოდგა.

არზასი ყოველთვის ამარცხებდა სელევკიდების ჯარებს. მან გასწმინდა მტრისგან პართია და ჰირკანია. არზასის მემკვიდრეებმა კიდევ ბევრი ქვეყნები შემატეს თვისს საბრძანებელს დაპყრობით და ეფრატის ნაპირებამდის მირეკა ალექსანდრეს ძალა-გამოლეული მემკვიდრენი.

მეორე არშაკიდმა სახელად მიტრიდატ I-მა დიდად წოდებულმა, ხელ-ახლად დაამარცხა სირიის მეფენი და შიშის ზარი დასცა თითქმის მთელს აზიას თავისი იარაღით. ეს მიტრიდატი ცხოვრებდა ასი წლის შემდეგ არშაკიდების მამათ-მთავრიდგან. მიტრიდატმა ისარგებლა სომხეთის შინაურის არეულობით, შევიდა დიდძალის ჯარით მასში და ცოტა ხანში, თვით სომხების შემწეობით, დაიფლო მთელი სომხეთი, რომელსაც დაუნიშნა მეფედ თავისი ახალგაზრდა ძმა ვაღარშაკი. უკანასკნელი შეიქმნა მამათ-მთავრად სომხეთის არშაკიდებისა. რაკი თვისი ძმა დაამყარა სომხეთის ტახტზე, პართიის მეფე მიტრიდატი დაბრუნდა თვისს საბრძანებელში. წასვლისას დაუტოვა ძმას ჯარები, აჩუქა ატროპატენი და მისცა სრული უფლება გაეფართოებია სამეფოს საზღვრები შეძლებისა და გვარად, ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხრით. ყველაფერი,—უთხრა ძმას მიტრიდატმა წასვლისას,—რასაც შენის გონებით და ვაჟკაცობით შეიძენ, სრული შენი საკუთრება იქნება. ვაჟკაცთ მხოლოდ ერთი საზღვარი უწყიან—ეს არის წვერი მათის მახვილისა, რასაც მით მისწვდებიან, მათი საკუთრებაო“.

ქალაქი ნაზიბია მესოპოტამიისა შეიქმნა ახალი სამეფოს სატახტო ქალაქად. ვაღარშაკმა დაუყოვნებლივ იხელმძღვანელა ძმის რჩევით. გასცა თვის სახელმწიფოში ბრძანება შეეკრიბათ დიდძალი ჯარი. მთელი მხედრობა არმავირის ველზე მოგროვდა არაქსის პირად. ვაღარშაკი ეთავა ჯარსა, გაილაშქრა მცირე აზიაზე და დაიპყრო მრავალი ქვეყნები. დაამარცხა და მოკლა მეფე მორფილოგა, რომელმაც განიზრახა შეეკავებია მისი ძლევა-მოსილი მსვლელობა. აქედგან შევიდა

ლაზების ქვეყანაში, სომხეთის ჩრდილოთ, და თავზარი დასცა მთელ კავკასს. აქაც მან დაიპყრო ბევრი ქვეყნები და გზა და გზა დაიმორჩილა ველური ხალხები. ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ვაღარშაკი შემობრუნდა თვისს სატახტო ქალაქ ნიზიბიაში. დანარჩენი დრო თვისი მეფობისა ვაღარშაკმა მოანდომა სახელმწიფოს შინაურ საქმეების განკარგებას. მისცა თვისს ერს სამართალი (სჯული), დააარსა სხვა-და-სხვა დაწესებულებანი, გააუმჯობესა ცხოვრება კეთილშობილთა, მოქალაქეთა და მიწის მუშათა, უზრუნველი ჰყო სამეფო გარეშე მტრების შემოსევისაგან სხვა-და-სხვა საშვალებათა მიღებით. მაგალითად, ააშენა ციხეები, განაწესა მუდმივი ჯარი, რომელიც დააბინავა სამეფოს განაპირა ნაწილებში და დაუნიშნა გამოცდილი სარდლები. დაწვრილებით შეტყობა მისი, თუ რა გააკეთა ამ მეფემ სომხეთის საკეთილდღეოდ, შეიძლება მოსე ხორენელის და იოანნე კათალიკოსის სომხეთის ისტორიებიდგან; აქ დალაგებით და დიდის დაწვრილებით მოთხრობილია ყოველი გარემოება ვაღარშაკის მეფობისა. ვაღარშაკმა ბედნიერად იმეფა ოცდა-ორი წელიწადი და გარდაიცვალა. მას ემკვიდრა მისივე შვილი არზას ანუ არშაკ I, რომელმაც იმეფა 13 წელი და ისახელა თავი მსგავსად მამისა დიდი სამხედრო საქმეებით. დაამარცხა და დაუმორჩილა თვისს ხელმწიფებას მრავალი კავკასიის ტომნი, რომელთაც მისობას განიზრახეს განთავისუფლება იმ უღლიდგან, როაელიც მათ კისერზე შეადგა ვაღარშაკმა.

არშაკის შემდეგ სომხეთის ტახტზე ავიდა მისი შვილი არტაშეს I. თუ ვერწმუნებით სომხეთის მემატიანების მოწმობას, არტაშესი ყოფილა სახელოვანა მეომარი, მას გაუდიდებია თვისი სამეფო ახალი ქვეყნების დაპყრობითა, დაუმორჩილებია მთელი მცირე აზია, გადაუვლია ეგეის ზღვა და თავს-დასხმია საბერძნეთს, სადაც ის მოუკლავს ღალატით ერთს თავისიანს. შეგვიძლია საეჭვოდ ჩავთვალოთ სომხების ნათქვამი ამ მეფის შესახებ, თუ კი მხედველობაში მივიღებთ,

რომ არც ერთი უცხო ტომის მწერალი ამ ისტორიულ შემთხვევას არ უჩვენებს. ისიც ყოვლად შეუძლებელია, რომ ეს შემთხვევები ვერ შეამჩნიეს ან განგებ გამოსტოვეს. პირიქით, უფრო საფუძვლიანი იქნება, რომ ყოველი, რასაც სომხის ისტორიკოსები მოგვითხრობენ შესახებ არტაშესის ბრწყინვალე და ძლევა-მოსილ მეფობისა, ჩავსთვალოთ მტკნარ სიცრუედ, რომელიც მოუგონიათ ზოგიერთ სომხეთის ისტორიკოსებს გაზვიადებულის მამულის სიყვარულითა, ამის გამო თვით ჭეშმარიტებასაც კი უღალატეს, ოღონდ ამით დაეკმაყოფილებინათ ზოგიერთ თანამემამულეთა გაზვიადებული ეროვნული ყოყოჩობა; მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ არტაშესს გაელაშქროს რამდენჯერმე მცირე აზიაზე და კიდეც მისულიყვეს იარაღით ეგეის ზღვის აღმოსავლეთის ნაპირამდის.

მ. ჩოგოვაძე.

(შემდეგი იქნება).